პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 213 (18755) ხუთშაბათი, 15 სექტემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲩᲘᲜᲝ ᲐᲒᲘᲢᲐᲪᲘᲐ

ᲚᲐᲠᲐᲙᲝᲕᲘᲡ ოლქის გოტვალდოვსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „წითელი გიგანტის“ კარმიდამოს ცენტრში არის სტენდი, რომელსაც იშვიათად თუ ჩაუვლის რომელიმე მუშაკი გულგრილად — უსათუოდ შეჩერდება და ნახავს, რას ეძღვნება დღეს მასალები. სტენდი ადამიანებს იზიდავს არა მარტო თავისი გაფორმებით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, კონკრეტული და ოპერატიული ინფორმაციით კოლექტივის საქმეთა შესახებ. ერთი-ორი წუთი — და კაცმა უკვე იცის, რა მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, ვინ მიაღწია საუკეთესო შედეგებს შრომაში, და ვინ — უმტკუნა ამხანაგებს.

თვალსაჩინო აგიტაცია... იგი ღრმად და ორგანულად დამკვიდრდა ჩვენს ცხოვრებაში. შთამაგონებელი მხატვრული სახით, მგზნებარე სიტყვით მოუწოდებდა იგი ადამიანებს საბრძოლო და შრომითი გმირობისათვის განსაცდელის ჟამს „საკლასის სარკმლის“ პლაკატებიდან. დღესაც ძნელი წარმოსადგენია ქარხანა თუ მშენებლობა, ინსტიტუტი თუ კულტურის სახლი, სადაც არ არის ლოზუნგები და მოწოდებები, არ არის სტენდები, რომლებიც გვაცნობენ წარმოების ნოვატორებს, სოციალისტურ შეჯიბრებას, პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. არადა, რაოდენ უჩვეულო სანახავი იქნებოდა ჩვენი ქალაქებისა და სოფლების ქუჩები და მოედნები თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებათა გარეშე, ისინი ხომ ადამიანებს აქტუალურ ინფორმაციას აწვდიან და დიდი ძალის იდეურ მუხტს შეიცავენ!

„ჩვენი მიღწევების დამჯერებელი, კონკრეტული ჩვენება, იმ ახალი პრობლემების სერიოზული ანალიზი, რომლებსაც ნიადაგ წარმოშობს ცხოვრება, აზრისა და სიტყვის სიხალახე, — აღნიშნა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა,—აი გზა მთელი ჩვენი პროპაგანდის სრულყოფისა, რომელიც მუდამ უნდა იყოს აღალმართალი და რეალისტური, აგრეთვე საინტერესო, გასაგები და, მაშასადამე, უფრო ქმედითიც“.

მთავარია, მარჯვედ ვიყენებდეთ თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებებს იდეურ-აღმზრდელობითი, საწარმოო, ორგანიზაციული ამოცანების გადაწყვეტაში. მის ემოციურ-მეტყველ ენას ხომ ბევრი რამ შეუძლია, შეუძლია გულთბილად მიელაპარაკოს მოწინავეს და მკაცრად დატუქსოს წუნისმკეთებელი თუ შრომის დისციპლინის დამრღვევი, შეუძლია გააშუქოს საუკეთესო გამოცდილება და გაგვაცნოს დღის მორიგი ამოცანები...

თვალსაჩინო აგიტაციის თავდადასავი შინაარსი, იდეური მიზანსწრაფვა, მჭიდრო კავშირი ცხოვრების თანამედროვე პრობლემებთან. იგი მოწოდებულია „პლაკატის ენით“ ჩაუნერგოს ადამიანებს მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობა, კომუნისტური მრწამსი, სოციალისტური პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის მაღალი გრძნობები. დღეს თვალსაჩინო აგიტაციის წამყვანი თემაა ქვეყნის შრომელთა ბრძოლა ხუთწლედის მესამე წლის სახელმწიფო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის, წესრიგისა და დისციპლინის საყოველთაო განმტკიცებისათვის.

გადავაქციოთ საყოველთაო კეთილნებობად შრომის საუკეთესო ნიმუშები, დიდების დაფაზე წარმოვაჩინოთ ადამიანები, რომლებიც ეროვნულ-პატრიოტულ დამოკიდებულებას იჩენენ საქმისადმი, — ეს თვალსაჩინო აგიტაციის ორგანიზატორთა ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა. იგი მოწოდებულია უფრო აქტიურად მონაწილეობდეს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში იმათ შესახებ, ვინც ჩამორჩება შეჯიბრებაში, იჩენს უდისციპლინობას, აცდენს სამუშაოს, ლოთობს, უშვებს წუნს. ბევრ კოლექტივში ამ მიზნით ეფექტიანად მოქმედებს ნაირ-ნაირი „ჭინკარი“, „ნიანგი“, „მწვავე სიგნალები“ და სხვა მსგავსი ოპერატიული გამოშვებები აქტიურად იყენებენ ამ ძლიერ იარაღს, მაგალითად, მოსკოვის კაპრანოვის სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში. შრომის დისციპლინის დამრღვევნი აქ ნაკლებად არიან, მაგრამ დისციპლინის მოთხოვნებისაგან უმცირეს გადახვევასაც კი მყისვე ეძლევა სათანადო მწვავე შეფასება.

თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებათა ეფექტიანობა განსაკუთრებით დიდია იქ, სადაც მას მუდმივ ყურადღებას უთმობენ პარტიული კომიტეტები. ამ საქმეში დიდ დახმარებას გვიწევენ პარტიის ბევრ საქალაქო და რაიონულ კომიტეტთან ჩამოყალიბებული თვალსაჩინო აგიტაციის ცენტრები. მათ მჭიდრო კავშირი აქვთ დამყარებული საწარმოებთან, გვაძლევენ კვალიფიციურ რეკომენდაციებს თვალსაჩინო საშუალებათა შინაარსის, განლაგების, მხატვრული გაფორმების, ყველაზე ქმედითი გამოყენების შესახებ. აქვე ეწყობა ამ საქმის ადგილობრივ ორგანიზატორთა და გამფორმებელ მხატვართა ხემინარები, უშვებენ საინფორმაციო ბიულეტენებს.

ამასთანავე, როგორც „პრავდის“ ფოსტა მოწმობს, ჯერ კიდევ ყველა პარტიული კომიტეტი და ბიურო როდი იყენებს მებრძოლურად და რეალური სარგებლიანობით თვალსაჩინო აგიტაციის შესაძლებლობებს. ხშირად მის შესრულებას ატყვია უგემოვნობის, დეკლარაციულობის დაღი, პომპეზური მონუმენტურობის ხასიათისაა, არ ითვალისწინებს ადამიანთა აღქმის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს. ვხვდებით ამ დიდმნიშვნელოვანი საქმისადმი დაუკვირვებელი მიდგომის შემთხვევებსაც.

ასეთი მაგალითები, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მრავლად გვაქვს. ავიღოთ, თუნდაც, ცელინოგრადის ოლქის ალექსეევკის რაიონი. ბევრ აქაურ საწარმო-ორგანიზაციაში აშკარად მოძველდა თვალსაჩინო აგიტაცია. ზოგიერთ სტენდს, პანოს, პლაკატსა და ლოზუნგს წლების მანძილზე არ ანახლებენ ხოლმე. ხშირად ისინი არ შეეფერება დროების სულისკვეთებას, გვაუწყებს ძველ, ყველასათვის ცნობილ ამბებს. და ისეთ ოპერატიულ საშუალებებსაც კი, როგორიც არის საკედლე პრესა, „საბრძოლო ფურცელი“, „ელვა“, ათასში ერთხელ, შეიძლება ითქვას, მარტო დღესასწაულებზე უშვებენ ხოლმე. იქნებ იმიტომ, რომ პარტიის რაიონული კომიტეტი ასეთ მდგომარეობას სრულიად არხეინად ურიგდება? თვალსაჩინო აგიტაციის საკითხები აქ კარგა ხანია ჯეროვანი ხიდრმით არ გაუანალიზებიათ არც ბიუროს სხდომებზე და არც პლენუმებზე.

პარტიულ კომიტეტებს არ უნდა რჩებოდეთ მხედველობის არიდან ეს დიდმნიშვნელოვანი სააგიტაციო საშუალება. თვალსაჩინო აგიტაციის საკითხები მიზანშეწონილია სისტემატურად განვიხილოთ ხოლმე მუშაობის მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების დამტკიცებისას. მხარდასაჭერია ქალაქების, რაიონების, საწარმოებისა და მეურნეობების თემატიკური გაფორმების კომპლექსური გეგმების შეჯაჯგურება-განხორციელება, სოციოლოგიური გამოკვლევების მოწყობა, რომლებიც გვაქმნიან წარმოდგენას ამა თუ იმ საშუალების ქმედითობაზე. პროპაგანდისტებისა და აგიტატორების, გამფორმებელი მხატვრების კარგი სკოლა ხდება თვალსაჩინო აგიტაციის დათვალიერება-კონკურსები და გამოფენები, რომლებსაც პარტიული კომიტეტები აწყობენ, ისინი ხელს უწყობენ მოწინავე გამოცდილების ფართო გავრცელებას. ამ საქმის წარმატება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, რომ თვალსაჩინო აგიტაციის ორგანიზატორთა შემადგენლობა შევავსოთ და განვამტკიცოთ პოლიტიკურად გამჭრიახი ამხანაგებით, რომლებსაც აქვთ საჭირო გამოცდილება და გემოვნება. ნიადაგ უნდა ვაუმჯობესებდეთ მათს თეორიულ და მეთოდიკურ მომზადებას, ვაბამდეთ თვალსაჩინო აგიტაციის საქმეში სახვითი ხელოვნების ნიჭიერ ოსტატებს.

ჩვენი ძალის წყაროა მშრომელთა შეგნება და დიდი აქტიურობა. სიტყვისა და საქმის ერთიანობაზე დაფუძნებული თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებების ქმედითობის შემდგომი ამაღლება ახალ მიღწევებს მოგვაპოვებინებს ჩვენ წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მორიგ სხდომაზე განიხილა საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების რვა თვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგები და რესპუბლიკის 1983 წლის 16 ივლისის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მოთხოვნათა რეალიზაციის მიმდინარეობა. აღინიშნა, რომ პირველადი პარტორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების დარაზმვის მუშეობით გარკვეული დადებითი შედეგებია მიღწეული. სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპმა 105,5 პროცენტი შეადგინა, გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 156,2 მილიონი მანეთის პროდუქცია. შრომის ნაყოფიერების ამაღლების გზით მიღებულია სამრეწველო პროდუქციის მთელი მატების 78,2 პროცენტი.

სრულდება სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვის საგეგმო დავალებანი. შესრულდა საავტომობილო ტრანსპორტის ტვირთბრუნვისა და მგზავრთბრუნვის დავალებანი, საქსლოატაციოდ გადაცემულია 328,4 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც აღემატება გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

ამავე დროს საშენ მასალათა მრეწველობის, სასოფლო მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების მთელმა რიგმა, საწარმოებმა ვერ შეასრულეს 8 თვის დავალება. არ იყო უზრუნველყოფილი ზოგიერთი მნიშვნელოვანესი სახეობის სამრეწველო პროდუქციის — თუჯის, ფოლადის, შავი ლითონების ნაგლინის, სინთეზური ამიაკის, ქიმიური ბოჭკოსა და სხვათა რიტმული წარმოება. ნელა ხდებოდა ძირითადი ფონდების ამოქმედება, არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა შეიქმნა სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების რეალიზაციის, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების სისტემებში საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულების საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტმა რესპუბლიკის პარტიულ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს დაავალა განახორციელონ ცხრა თვისა და მთლიანად ხუთწლედის მესამე წლის გეგმების უთუო შესრულებისათვის გამიზნული ორგანიზატორული მუშაობის დონის ამაღლების ქმედითი ღონისძიებანი. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო მიწოდების ვალდებულებათა გათვალისწინებით პროდუქციის რეალიზაციის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის დაჩქარების საფუძველზე ხარისხის უმაღლესი კატეგორიის საქონლის გამოშვების დავალებათა შესრულებას.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დანიშნა მუშაობის სხვადასხვა მიმართულებით სახალხო დეპუტატთა თელავის საქალაქო, მარტყოფის სასოფლო და კიზიტის სადამო საბჭოების საქმიანობის საკითხები. აღინშნა რა მათი საქმიანობის მნიშვნელოვანი გააქტიურება, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტემა სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაავალა უკეთ გამოიყენონ თავიანთი უფლებამოსილება ადგილებზე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტისათვის, გააძლიერონ კონტროლი მათს ტერიტორიაზე მდებარე საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობისადმი, უშუალო მონაწილეობა მიიღონ სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, მკვეთრად გააქტიურონ ბრძოლა სოციალისტური დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის. საბჭოთა ორგანოებმა,ისევე როგორც წინათ, უნდა გამოიჩინონ სიმტკიცე და პრინციპულობა საბინაო-საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტაში, იმ მოქალაქეთა აღრიცხვის ორგანიზაციის სრულყოფაში, რომლებსაც სჭირდებათ საცხოვრებელი ფართობი. განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო იმას, რომ უნდა გაუმჯობესდეს კომუნალური სამსახურების მუშაობა, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო, სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია. დაისახა ამოცანა უფრო აქტიურად და მიზანმიმართულად წარიმართოს ეკონომიკური გარემოს შენარჩუნებისათვის მუშაობა.

განიხილა რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში გასული სასწავლო წლის შედეგები და 1983-1984 წლის ამოცანები, ცენტრალური კომიტეტის ბიურომ აღნიშნა რესპუბლიკის ხელმძღვანელი კადრების მომზადებისათვის გაწეული გარკვეული დადებითი მუშაობა, ამასთან მან აღნიშნა, რომ საჭიროა სასწავლო პროცესის და, განსაკუთრებით საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების, პარტიული და საბჭოთა მშენებლობის პრაქტიკული საკითხების შესწავლის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მითითებათა შესაბამისად. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაამტკიცა მასწავლებელთა შემადგენლობის კვალიფიკაციისა და პროფესიული დონის შემდგომი ამაღლების, პედაგოგიკის მეცნიერების მიღწევებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების საფუძველზე კადრების სწავლების პროცესის სრულყოფის კომპლექსური პროგრამა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა სსრ კავშირის სახსტანდარტის საქართველოს რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის ნ. ა. გიორგობიანის ინფორმაცია სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის წარმოების შესახებ და სამმართველოს ხელმძღვანელობას დაავალა მიმდინარე წლის ოქტომბერში დაამთავროს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა შემოწმება იმ მიზნით, რომ განსაზღვროს 1984 წლისათვის სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის წარმოების რეალური მოცულობანი.

სამდივნოს სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება საექსპორტო შეკვეთები თბილისის საზეინკლო-სამონტაჟო ინსტრუმენტის საცდელ ქარხანაში. რესპუბლიკის პარტიულ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ განახორციელონ საექსპორტო პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და ამ შეკვეთების შესაძლო ჩაფუშვის თავიდან აცილების ეფექტიანი ღონისძიებანი.

მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ დასახა 1983-1984 სასწავლო წლის პირველ მეცადინეობათა ორგანიზებული დაწყებისა და დამთავრების ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოიწონა საქართველოს სსრ სახშენისა და საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ დაბა ქსაწში აშენდეს კერამიკული საკედლე მასალების ქარხანა და დასახა მისი დამთავრების დაჩქარების მთელი რიგი ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომაზე განიხილეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ზოგიერთი სხვა საკითხიც.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ბამბის სართავი ფაბრიკის სართავ-საგრეხ საამქროში კარგად იცნობენ და პატივისცემით იხსენიებენ კომკავშირულ-ახალგაზრდული საამქროს წევრს თინა ბრეგვაძეს. იგი, გარდა იმისა, რომ თავისი საქმის შესანიშნავი ოსტატია, კარგი დამრიგებელიც გახლავთ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: თინა ბრეგვაძე (მარჯვნივ) რჩევა-დარიგებას აძლევს ახალგაზრდა მუშებს ნ. ვალოდინასა და ვ. მამონტოვას.

ს. კილაძის ფოტო.

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲔᲚ ᲛᲔᲗᲐᲛᲒᲐᲥᲝᲔᲑᲗᲐᲜ

ᲩᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ თამბაქო მწარეც არის და ტკბილიც, — გეტყვის ლაგოდეხელი კაცი და, მართლაც რომ ასეა. დიდი შრომა და გარჯა სჭირდება მის მოყვანას. თებერვლის პირველი რიცხვებიდან იწყება კვალსათბურებში ჩითილის გამოყვანა და საბოლოო ოპერაცია — ფოთლის შეტეხვა ნოემბრის ბოლომდე გრძელდება. ჩითილის გადარგვას თან მოსდევს რწყვა, კულტივაცია, თოხნა, შეწყმავლა, და გახა ერთხელ? ზოგჯერ ეს სამუშაოები 3-4-ჯერ და მეტჯერ მეორდება. თუ მცენარემ კარგად გაიხარა, პლანტაცია პლანტაციას დაემსგავსა, კაცის გულიც ხარობს...

წლეულს ლაგოდეხელთა თამბაქოს პლანტაციებში შრომაც ბევრი გასწიეს და მოსავალსაც კარგი პირი უჩანს.

— ის რაც უამინდობას, თქვეშ გადაურჩა და რაც ჩვენს ხელშია, დროზე, უდანაკარგოდ ავიღებთ, მაქსიმალურად გამოვიყენებთ, წელში რომ გავწყდეთ, 5.500 ტონა თამბაქოს, მაინც დავამზადებთ, შარშანდელზე 500 ტონით მეტს, — ამბობს პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ვალერი ბაქრაძე.

— კარგ მოსავალს მოელიან კალინოვკელები. მობრძანდით, ნახეთ ჩვენი პლანტაციები, — გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ე. დუკმასოვმა. გზადაგზა ბოსტნებიც დავათვალიერეთ. ყველაფერს გამრჯე კაცის ხელი ატყვია. ახალი ჯიშის თამბაქოს— „ვირჯინიის“ პლანტაცია წელს 60 ჰექტარზე გააშენეს, საიდანაც 300 ათას მანეთ შემოსავალს მოელიან.

თამბაქოს ფარდულთან ახალგაზრდა გოგონები ე. ჩუთლაშვილი, ლ. ლეკაიშვილი, ნ. შიკინა მარდად აწვდიდნენ საკინძ მანქანას თამბაქოს ფოთლებს.

— ეს მანქანები ამ სამი წლის წინათ პირველად ჩვენ შემოვიტანეთ რაიონში, — გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, — ნახეთ, როგორ საათივით მუშაობს, ერთი მანქანა 10 მუშახელს ცვლის, 26 ასეთი მანქანა გვაქვს. სწორედ მათი მადლით, უკვე მილიონ ექვსასი ათასი ზონარმეტრი თამბაქო გვაქვს ანემსილი.

თვე-ნახევარია, რაც თამბაქოს შეტეხვა დაიწყო. კარგი ტემპი აქვთ აღებული ლაგოდეხის კალინინის სახელობის, ცოდნისკარისა და ბაისუბნის კოლმეურნეობებს. მათი მოსავლის 65-70 პროცენტი უკვე საიმედო ხელშია. ამას ვერ ვიტყვით სოფლების ყარსუბნის, ორჯონიკიძის, არეშფერანის კოლმეურნეობებზე, რომელთაც მოწეული მოსავალი ჯერ სანახევროდაც არა აქვთ აღებული.

ვესაუბრეთ კოლმეურნეობათა მესვეურებს, სპეციალისტებს, აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეს ა. ცინცაძეს. ყველამ ერთი აზრი გამოთქვა: ხელს გვიშლის საშრობი ფარდულების, პოლიეთილენის ნაკლებობა. საშრობი ფარდულების კაპიტალური და მიმდინარე შეკეთებისათვის გამოყოფილი ხე-ტყე, შიფერი, პოლიეთილენი სანახევროდაც არ გვყოფნისო. თელავის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს (უფროსი — ზ. თეგერაშვილი), რომელსაც 1977 წლიდან დავალებული აქვს 200 საშრობი ფარდულის მშენებლობა, დღემდე მხოლოდ 60 აქვს საექსპლოატაციოდ გადაცემული.

მოწეული მოსავალი რომ უდანაკარგოდ დაამბინაონ, უფრო მეტი მონდომება და სიბეჯითეა საჭირო.

ᲕᲚ. ᲛᲐᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲑᲐᲠᲐᲥᲘ

ᲣᲒᲐᲚᲝ არითმეტიკული მოქმედება — გაყოფა — დაეხმარა ახალქალაქელ მიწათმოქმედს გაედიდებინათ კარტოფილის წარმოება. სოფელ ბარალეთის კოლმეურნეობაში, საქართველოს მიწათმოქმედის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტულ მეურნეობაში, სადაც ნერგავენ კარტოფილის მოვლა-მოყვანის პროგრესულ მეთოდს, თესვის წინ დიდ ბოლქვებს ჭრიან ორ-სამ ნაწილად, რაც მკვეთრად ამცირებს სათესლე მასალის ხარჯვას. მაგალითად, 3200 ჰექტარ ფართობზე დაზოგულია ოთხი ათას ტონაზე მეტი თესლი. სპეციალისტების გამოანგარიშებით, წლეულს მოსავალი ამ მეურნეობათა ფართობებზე ოქმედნჯერმე გადაჭარბებს შარშანდელ მაჩვენებლებს.

ავდრის მიუხედავად, რაიონის მშრომელები წელს აწარმოებენ 44 ათას ტონაზე მეტ კარტოფილს, მთგან 29 ათას ტონაზე მეტს სახელმწიფოს მიჰყიდიან. საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე აგრეთვე უხვი უნდა იყოს — 135 ცენტნერი. თუმცა ზოგიერთ მეურნეობაში განზრახული აქვთ მოიწიონ გაციცლებით მეტი. მაგალითად, ბურნაშეთის საბჭოთა მეურნეობის მეკარტოფილე გ. კურჩინინაშვილ ვალდებულება იკისრა ჰექტარზე აიღოს 300 ცენტნერი კარტოფილი, ხოლო ოკამის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა ო. ნათენაძემ კი — 180 ცენტნერი.

სულ რესპუბლიკაში სეზონის დამლევამდე უნდა დაამზადონ 184 ათასი ტონა საგვიანო კარტოფილი. (საქინფორმბი).

ᲥᲐᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲖᲐᲘᲙᲔᲑᲘ: ᲐᲦᲝᲠᲫᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

13 სექტემბერს ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ნ. ენუქიძე, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ნ. შ. ჯანბერიძე გაეცნენ არქეოლოგიურ და სარესტავრაციო სამუშაოებს მცხეთის რაიონის სოფელ ძალისში.

ძალისის ნაქალაქარის უნიკალური მოზაიკა, თვრამეტი საუკუნის წინათ აქ რომ ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა, იმის ფრაგმენტია. ამოიღეს რა 50 ათასი კუბური მეტრი მიწა, არქეოლოგებმა აქ გათხარეს საკულტო, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კომპლექსები. სასახლის შენობაში მათ თვალწინ წარმოუდგათ II-III საუკუნეების იატაკის მოზაიკა. მას დაახლოებით 60 კვადრატული მეტრი ფართობი უკავია და ეძღვნება მევენახეობისა და მეღვინეობის ღმერთს დიონისეს, რომლის კულტი უხსოვარი დროიდან იყო გავრცელებული მუხრანის ველზე.

როგორც სპეციალისტები ადასტურებენ, ეს უძვირფასესი ნაპოვნია ანტიკური ხანის ნაქალაქარისა, რომელსაც ბერძენი გეოგრაფი პტოლემეოსი ახსენებდა. მისი ფართობი, წინასწარი გამოანგარიშებით, ასი ჰექტარია. იმ პერიოდისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი ტერიტორია მოწმობს იმ გაჭანებასა და ბრწყინვალებას, რომელიც ახასიათებდა მუხრანის ველის ამ ძველი ქალაქის მშენებლობას.

მოზაიკური პანო გვიხიბლავს დახვეწილი ნახატით, მდიდრული ფერებით, შესრულების ოსტატობით. მიუხედავად იმისა, რომ საუკუნეებს გაუძლო, ხელოვნების ნაწარმოები ადამიანის დახმარებას მოითხოვდა. რომ არ დაშლილიყო, სპეციალისტებს დიდი სიმარჯვე და შრომა დასჭირდათ. მოზაიკა შესრულებულია ექვსიდან თორმეტ მილიმეტრამდე სიდიდის ორი მილიონი კენჭისაგან. მათი ბუნებრივი შეფერილობის პალიტრაში კი 18 ელფერი ითვლება. განხორციელდა მოზაიკური პანოს კონსერვაცია. იგი მომზადებულია სრული რესტავრაციისათვის.

აქ არქეოლოგების მხარდამხარ შრომობენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს ადაპტაციის განყოფილების თანამშრომლებიც. დამთავრდა დამცავი პაჯიონის მშენებლობა. ლითონის კონსტრუქციებისა და მინისაგან დამზადებული მისი უზარმაზარი სახურავის ქვეშ გადის ექსკურსანტებისათვის განკუთვნილი დასათვალიერებელი ბილიკიც.

სტუმრებს სამუშაოთა მიმდინარეობა ეაიანო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ნასტაკის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა ა. ვ. ბოხოჩაძემ.

სასახლის შენობის გარდა აქ გათხრილია აბანოები, სადაც არის ცხელი, თბილი და ცივი წყლის აუზების მთელი კომპლექსი და სატანვარჯიშო დარბაზი. ყველა ნაგებობაში გაყვანილია საკანალიზაციო სისტემა და წყალსადენი, რომელიც უკავშირდება მთის წყაროებს. ეს კულტურის მაღალ ღონეს მოწმობს. სხვათა შორის, ძალისში აღმოჩნდა რესპუბლიკის ტერიტორიაზე პირველი ტყვიის წყალსადენი, რომლის ნაწილები ახლა ინახება საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში.

გათხრებით თუ ვიმსჯელებთ, მეოთხე საუკუნეში ქალაქს თავს მტერი დასხმია, გადაუწვავს, მაგრამ იგი ნაწილობრივ აღუდგენიათ და ოქროვ დაახლოებით ოთხ საუკუნეს უარსებია. ამგვარად, მისი ისტორია მოიცავს საქართველოში ანტიკურიდან ადრეულ ქრისტიანობის ეპოქაზე გარდამავალ პერიოდს, რაც ძალზე საინტერესოა.

როგორც მეცნიერები ფიქრობენ, შემდგომი გათხრები ძალისში გამოავლენს ძველი ქართული კულტურის დამადასტურებელ ახალ საბუთებს.

— ძალისი ერთ-ერთია ისტორიის იმ ოთხმოც ძეგლთა შორის, რომლებიც დაცულია მცხეთის რაიონში, — თქვა საქმთავარდაცვის უფროსმა, პროფესორმა ი. ნ. ციციშვილმა. — უდიდესი ყურადღება, რომელსაც ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციისადმი იჩენენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა, მოწმობს ამ მუშაობის დიდ პატრიოტულ და ინტერნაციონალურ მნიშვნელობას. საკმარისია ითქვას, რომ მარტო გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის დღესასწაულისათვის რესპუბლიკაში აღდგენილია ორმოცზე მეტი კულტურის ძეგლი. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში მონაწილეობენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული კოლეგები. მაგალითად, ძალისში ბოზაიკის რესტავრაციაში გვეხმარებიან ხერსონელი სპეციალისტები, რომლებსაც აქვთ შავი ზღვისპირეთის ანტიკურ ძეგლებზე მუშაობის გამოცდილება.

ახლო მომავალში ძალისის ნაქალაქარი შეტანილი იქნება საკავშირო ტურისტულ მარშრუტში ისეთ შესანიშნავ ძეგლებთან ერთად, როგორიც არის სვეტიცხოველი, ბებრის ციხე, აკლდამა, წილკანი, ქსნის ციხე. (საქინფორმბი).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲗᲐᲜ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ლენინური კომკავშირის სახელობის ავტომქარხნის ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი საწარმოა. აქ გადაწყვეტეს შექმნან ახალი მოდელის საბჭოური მცირეტონაჟიანი მანქანა და მისი მოდიფიკაციების წარმოება მოეწყოს ავტომობილშენებლობის დარგში მოწინავე მიღწევათა ბაზაზე.

13 სექტემბერს ლენინური კომკავშირის სახელობის ავტომქარხნის კოლექტივს შეხვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი.

შეხვედრაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ვ. გრიშინი.

მოწინავე საწარმოს, მისი ისტორიისა და თანამედროვე პროდუქციის გაცნობა დაიწყო ავტომქარხნის მუზეუმში. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო „მოსკვიჩ-2141“ ავტომობილის ახალი მოდელის საცდელმა ნიმუშმა. შემდეგ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გაეცნო ქარხანაში წარმოების ტექნოლოგიას, იყო მთელ რიგ საამქროებში. მუშებთან და ინჟინრებთან საუბრის დროს მან



მთების იქით მთებია

** წლეულს** მაისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება „რაიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამის შესასრულებლად პარტიის ლენტეხის რაიკომის მუშაობის შესახებ“.

ალბათ ბევრს ახსოვს, თუ რა იყო, რით ცხოვრობდნენ ამ რამდენიმე წლის წინათ მაღალმთიანი ლენტეხი, თვითონ რაიონული ცენტრი და მის ირგვლივ მთის კალთებზე შეფენილი სოფლები... ძალიან უჭირდათ ქვემოსვანელებს: ღარიბი, ეკონომიკურად ჩამორჩენილი კოლმეურნეობები, მცირე რაოდენობის სათიბები, დამჭლეკვებული პირუტყვი და მათი ძალიან პრიმიტიული ბინები, უგზოობა, ხშირად გაშმაგებული მდინარეებისაგან დანგრეული ბოგირები და ჩამორეცხილი ნაპირები, მოუწყობელი ქუჩები, სათანადო ობიექტების უქონლობის გამო მეტად დაბალი დონის საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურება...

ასეთი იყო ლენტეხის რაიონის, რა თქმა უნდა, არასრული, მაგრამ მაშინდელი სურათი. იგი რომ სწრაფად შეცვლილიყო, 1974 წლის ივლისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიღეს სპეციალური დადგენილება ლენტეხის რაიონის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების, მისი კულტურული დონის ამაღლების თაობაზე. დადგენილება მასშტაბური, ამასთან მეტად კონკრეტული იყო. ყველა რესპუბლიკურ სამინისტროსა და უწყებას განესაზღვრა, თუ როდის და რა უნდა გაეკეთებინა ამ რაიონში პრაქტიკულად.

მას შემდეგ ცხრა წელი გავიდა, ბევრი რამ შეიცვალა ლენტეხში... განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რაიონულ პარტიულ ორგანიზაციას ენერგიული კომუნისტი გურამ გუნავა ჩაუდგა სათავეში. ზოგი იტყვის, ზემდგომი ორგანოების მხრივ ამდენი დახმარების შემდეგ რა ადგილობრივ უნარიან ხელმძღვანელობაზე ლაპარაკობთო, მაგრამ საქმეც სწორედ ის არის, თუ როგორ გამოიყენებ დახმარებას, როგორ შეუერთებ მას ადგილობრივ ინიციატივასა და გერგილიანობას, როგორ დარაზმავ ხალხს, რომ ყოველ დახარჯულ მანეთს ხუთჯერ და ათჯერ მეტი უკეგება ჰქონდეს.

და აი, შემოწმდა შესრულება. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წლეულს მიღებულ დადგენილებაში, რომელიც არსებითად 1974 წლის ერთობლივი დადგენილების შესასრულებლად პარტიის რაიკომის მიერ გაწეულ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას განაზოგადებს, აღნიშნულია, რომ „რაიკომი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრებისადმი ხელმძღვანელობის პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად მიზანმიმართულ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან“, რომ „პარტიის რაიკომმა თვითკრიტიკულად გააანალიზა რაიონში საქმის მდგომარეობა, დაამყარა მჭიდრო კონტაქტები რესპუბლიკურ სამინისტროებთან და უწყებებთან, შეიმუშავა და თანამიმდევრულად ახორციელებს ღონისძიებათა სისტემას, რომლის მიზანია სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობა, მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, მათი პოლიტიკური შეგნებისა და შემოქმედებითი ინიციატივის ზრდა“...

ამას წინათ კი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე, რომელმაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური ამოცანები განიხილა, საბოლოო სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა:

„...დამაჯერებლად ილაპარაკა სუბიექტური ფაქტორების როლზე პარტიის ლენტეხის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. გ. ი. გუნავამ. მან კონკრეტული მაგალითებით დაადასტურა, რომ მთის რეგიონების პირობებში ურთულესი ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ სწორი პარტიული ხელმძღვანელობის პირობებში. ბევრ ამხანაგს ჰგონია, თითქოს სუბიექტური, ფაქტორი განყენებული, თეორიული ცნება იყოს. სულაც არა, ეს სრულიად კონკრეტული რეალობაა, მაგალითად, ლენტეხის რაიონის პირობებში. ერთი ნახეთ, რამდენ რამეს მიაღწიეს აქ, რა დიდი ცვლილებები მოხდა. რის ხარჯზე? დიდი კაპიტალდაბანდებების, რაიმე საგანგებო ღონისძიებების ხარჯზე? დიახ, რაიონს ვეხმარებით, ისევე როგორც ყველა სხვა რაიონს, მაგრამ შედეგები აქ უფრო მნიშვნელოვანია“.

მოდით, ცოტაოდენად მაინც გავეცნოთ, მკითხველო, დღევანდელ ლენტეხის რაიონს, მისი პარტიული ორგანიზაციის აქტიურობით მიღწეულ ზოგიერთ სანაქებო შედეგს, მთის კეთილ ფერისცვალებას.

პარტიული ცხოვრება: ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ეფექტიანობა

ფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად. ამის თაობაზე შენიშვნებსა და საყვედურებს გამოთქვამენ კომუნისტები პარტიულ ორგანიზაციათა ამჟამად მიმდინარე საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე.

განწყობილების ამინდი

რაიონში კომუნისტებს, მით უფრო ხელმძღვანელ მუშაკებს, გაცილებით კრიტიკულად აკვირდებიან, თუ როგორ ასრულებს საზოგადოებრივ მოვალეობას, როგორ იქცევა არა მარტო ხალხში, არამედ ამასთან რამდენად კეთილსინდისიერია პირად ცხოვრებაშიც.

გამიგონია ასეთი გამოთქმა: „ავტორიტეტი დროის ეკონომიას ეწევა“. დიახ, ზუსტია. ავტორიტეტიანი ადამიანის მხოლოდ სიტყვისაც სჯერათ იქ, სადაც სხვას შეიძლება ყველაფრის დამტკიცება დასჭირდეს. ეს თანამდებობისა და მუნდირის ჰიპნოზი როდია, უბრალო ლოგიკაა: ოცი გაკეთებული საქმე გარანტიას იძლევა, რომ ოცდამეერთეც აუცილებლად შესრულდება. და როცა კაცს სჯერა შენი, როცა საკუთარი თვალით ხედავს მისთვის ზრუნვას, გრძნობს რომ აფასებ, ისიც აუცილებლად გამოგაყვანს.

რაიონის მშრომელთა თვალში ამაღლდა პარტიის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომის, სხვა ხელმძღვანელი ორგანოების ავტორიტეტი. პარტიის რაიკომის პირველი მდივანი, სხვა მდივნები, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე, სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, რაიონის სხვა ხელმძღვანელი მუშაკები ხშირად არიან შრომითს კოლექტივებში, ზოგჯერ მწყემსებთან ერთად ღამეებიც გაუთენებიათ ფერმებში, გაუყვიათ ჭირი და ლხინი. ასეთი უშუალო შეხვედრებსა და საუბრებს ვერც ერთი პოლიტიკური ღონისძიება ვერ შეედრება.

ვინც რაიონის ცხოვრებას ინტერესით ჩაუკვირდება, აუცილებლად დარწმუნდება, რომ პარტიის ლენტეხის რაიკომის ბიურო დღეს კარგად შეკრული, ჭეშმარიტად კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოა, იგი ხარბად სწავლობს ხალხისაგან და მასვე ხალისით უზიარებს თავის გეგმებს.

პარტიის ვეტერანი 85 წლის დავით ბაბლუანი ამბობს: რაიკომის პირველი მდივანი ყოველ გათენებას ასწრებსო. იგი თითქმის ყველა ლენტეხელ პატიოსან მშრომელს იცნობს: ვინმე თუ ავად გახდება, და დრო აქვს, მივა ოჯახში, მოიკითხავს, ანუგეშებს. ეს „ბოს“ გაუვანაზე მომუშავე ახალგაზრდა კაცმა უბედური შემთხვევის გამო ფეხი დაკარგა. კვირა ისე არ გავა, რომ მდივანმა არ მოინახულოს, თბილი სიტყვა არ უთხრას.

ჩემი ყურით მოვისმინე, როგორ სთხოვა გუნავას სოფელ საშიდან მოსულმა ხანდაზმულმა ფურგალმა კაცმა, რომ შვილის უცოლობა მაღონებს, შენ უთხარ, დაგიჯერებს, ოჯახს მოეკიდოსო.

რწმენა მართლაც დიდი ძალაა. იგი ზნეობრივი სიწმინდის ტოლფასია. ითვალისწინებენ რა ამას, რაიონის სოფლების ყრილობებზე, ხოლო შემდეგ რაიონულ ცენტრში მშრომელებმა ერთხმად დათქვეს, რომ ლენტეხის რაიონი ისეთ რაიონად გამოაცხადონ, სადაც საერთოდ დანაშაული აღარ მოხდება, „ამის საფფძველი კი აქვთ. შარშან წლის მანძილზე ორი პატარა შემთხვევის გარდა, მთელ რაიონში დანაშაული არ მომხდარა.

სწორედ ადამიანთა შეგნების ამაღლებამ გააქტიურა მოსახლეობის საქმიანობა მეურნეობებთან კოოპერირების საკითხებში. სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოუქცევიელი მიწის ნაკვეთების მოსახლეობაზე მიმაგრებით, ურთიერთხელსაყრელ პირობებში, კონკრეტულად განისაზღვრა ვალდებულებანი. გადაწყდა შეძენილი 1100 სული ღორი გასასუქებლად მოსახლეობისათვის გადაეცათ. ეს რაიონში ხორცის წარმოების კარგი რეზერვია.

კიდევ ერთი ფაქტი: ბოლო სამ წელიწადში ლენტეხის რაიონში არ ყოფილა მიგრაციის არც ერთი შემთხვევა, პირიქით, უკან დაბრუნდა წინათ წასული ბევრი ოჯახი, შეიქმნა ახალი დასახლებანი — სოფელი ლეკართა, თეკალის „მზიური“.

ვიცი, ამ წერილის წაკითხვის შემდეგ ბევრი იტყვის, ნუთუ ლენტეხში დღეს ყველაფერი ასე კეთილნაყოფიერად და სწორხაზოვნად მიდის? არა, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშიც არის აღნიშნული, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი რაიონის ეკონომიკის განსამტკიცებლად, ყველა ფერმაში მუშაობაც დამაკმაყოფილებელი რიდია, დაბალია რძის, ხორცის, სხვა პროდუქტების წარმოების დონე...

იყო და არის სხვა სიძნელეებიც, უსიამოვნო ფაქტებიც, გაუგებარ ადამიანსაც ამ ქვეყანაზე ხომ ვერ გამოლევ.

მაგრამ ჩვენ მთავარ ხაზს, მთავარ მიმართულებას აღვნიშნავთ, რომლითაც მიდის დღეს პარტიის რაიკომი და ტონს აძლევს იგი მთელი რაიონის სისხლსავსე ცხოვრებას.

ა. ზურაშვილი.

სურათებზე: ზემოთ — დაბის ახალი საცხოვრებელი სახლები; შუაში — მოწინავე ახალგაზრდა მწველავი ეთერ ხაბულიანი და ასფალტის დამგები ჯუმბერ კობალიანი; ქვემოთ — პირველი დამსვენებლები ლენტეხის ახალ ტურისტულ ბაზაში.

ჯ. ლომაძის ფოტოები.

გზა ლამანაშურში მიდის...

დილის ცივ ღრუბლებში ძლივძლივობით მოჩანს გოლიათი მთების კონტურები... რაიკომისეული „ნივა“ კი უკვე ცხენისწყლის გაყოლებით ახალგაჭრილ გზაზე მისრიალებს. დროდადრო მანქანა ზიგზაგით მიდის, რადგან ღამით ისევ გაავდრდა და მთებიდან წამოსულმა ნიაღვარმა თან ჩამოიყოლა ვეებერთელა ლოდები. ვსარგებლობ ამ შეფერხებით, ვიკვრიტები მანქანის ფანჯრიდან და უფრო კარგად ვხედავ მდინარის ნაპირებზე აქა-იქ საგულდაგულოდ შემოკავებულ პატარ-პატარა ვაკე ადგილებს.

— ეს ჩვენი მთავარი სიმდიდრეა, — ამბობს პარტიის რაიკომის პირველი მდივანი გურამ გუნავა — ამ ცამდე აყუდებულ მთებში ხეირიანს რას დათესავ, ამიტომ თითო მტკაველ მიწას თვალისჩინივით ვუფრთხილდებით...

აქ, ძირითადად, ვთესავთ შვრიასა და იონჯას, შეგვაქვს შიგ მინერალური სასუქები და კარგი მოვლით წელიწადში სამჯერ ვიღებთ ხოლმე მოსავალს.

— იცით, როგორ გამოგვაქვს გათიბული ბალახი? — მეკითხება ლენტეხის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი გიორგი ტვილდიანი, რომელსაც დიდი ხანი არ არის, რაც ეს პასუხსაგები მოვალეობა დააკისრეს, მაგრამ გზადაგზა საუბრიდან ჩანს, რომ ზედმიწევნით ზუსტად იცის მეურნეობის მთელი ასავალ-დასავალი. მეორე დღეს, როცა პარტიის რაიკომში სამეურნეო კადრებთან მუშაობის საკითხზე ჩამოვარდა საუბარი, შევიტყვე, რომ მას კარგი ცხოვრებისეული სკოლა გაუვლია — წლების მანძილზე უმუშავია კომკავშირის რაიკომის პირველ მდივნად, სოფლის მეურნეობის სამმართველოში მემცენარეობის განყოფილების გამგედ, ლენტეხის მეურნეობის მთავარ აგრონომად...

მალე ერთ ადგილას გავჩერდით. გამოჩნდა მდინარეზე გარდიგარდმო გაბმული გვარელი და ზედ ჩამოკიდებული ხის ყუთი.

— აი ეს არის ჩვენი „მეკავშირე“, — სიცილით ამბობს მეურნეობის დირექტორი, — თუმცა ნაგებობა პრიმიტიულია, მაგრამ კარგ დახმარებას გვიწევს. ცხენისწყლის ნაპირებზე და მთის მიუვალ ადგილებში ჩვენი მშრომელების ინიციატივით ასეთი მარტივი ტიპის 12 საბაგირო გზა გაკეთდა. მდინარის გაღმიდან გათიბული ბალახის ჩამოსატანად ამდენ კაპიტალურ ხიდს ვინ აგებინებდა?!

ისმენ საუბარს, საკუთარი თვალით ხედავ ფაქტებს და რწმუნდები, რომ ბუნება მართლაც არ ანებივრებთ ლენტეხელებს.

მალე ერთგან კლდის ძირში მძღოლმა მანქანა მკვეთრად შემოაბრუნა და ჩვენც მთაში ახალგაჭრილ გზას დავადექით. მივდივართ სულ ზევით და ზევით, ხანდახან აქაც ვჩერდებით, და მაღლა რომ ავიხედავ ხოლმე, ასე მგონია, ხელს გავიწვდი და თვით ზეცას შევეხები-მეთქი...

რამდენიმე ადგილას მწვანედ მოხასხასე მდელოები გამოჩნდა.

— რა შესანიშნავი საძოვრები გქონიათ! — აღტაცებით წამოვიძახე, თითქოს ლენტეხელებს რაღაც ახალი აღმოვუჩინე.

— რის საძოვარი, ეს ჩვენი საუკეთესო სათიბია, აქ ახლა რომ პირუტყვი ვაბალახოთ, ზამთარში რაღა ვაქამოთ? — გაკვირვებით მითხრა მეურნეობის დირექტორმა.

მდელოები კარგად დავათვალიერეთ. ავ თვალს არ დაენახებოდა, ისე იყო, მოვლილ-ნასათუთები.

როგორც უკვე მკითხველმაც იცის, ლენტეხის რაიონი განსაკუთრებით მცირემიწიანია. ამიტომ მდინარეთა ნაპირები, კლდეებსა და ჭიუხებში მოქცეული მცირე ნაკვეთებიც კი აქ უკანასკნელ ხანს სათესად გამოუყენებიათ, შიგ ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახები დუთესავთ. წლეულს რომ დაინგრაოშეს, აღმოჩნდა, რომ ერთიორად გაზრდილა რაიონში ნათესი ბალახების ფართობი. ალპური ზონის სათიბებში ყველგან შეუტანიათ ორგანული და მინერალური სასუქები, შემოკავებულია 1800 ჰექტარი სათიბ-საძოვარი.

ამიტომაც იყო, რომ როცა ვიღაცას ორი მოჭრილი მორი სწორედ მდელოზე დაუდევრად დაეგდო და რამდენიმე კვადრატულ სანტიმეტრზე ბალახი გადაეთელა, თითქოს გულში რაღაც ჩასწყვიტესო, ისე განიცადა ეს რაიკომის მდივანმა. შეწუხდა მეურნეობის დირექტორიც, მძღოლიც და ეს წუხილი გადმომედო მეც, რამელმაც უკვე გავიგე, თუ რა ფასი აქვს ლენტეხელებისათვის თითო ბღუჯა ბალახს.

გზამ „ლამანაშურში“ აგვიყვანა, იქ, სადაც გაზაფხულზე აბალახებენ ხოლმე პირუტყვს. თუმცა სიტყვა „აბალახებენ“ ზუსტი გამოთქმა როდია. მთის მდინარის ზემოთ ნახევრად მოტიტვლებულ კლდეზე შეფენილ ძრეხებს რომ გავხედე, გამიკვირდა, ოჰ, ჯობენ, სად არის აქ ბალახი-მეთქი.

— კომბინირებულ საკვებსაც ვაშველებთ. აქ პირუტყვი ცოტა ხანს კიდევ გვეყოფება და მერე მუდმივ ალპურ საძოვრებზე „ლაბრანში“ მიგვყავს სექტემბრამდე, შემდეგ ერთი თვით ისევ აქ გადმოვინაცვლები და აციფებისთანავე სოფლში ჩავიყვანთ, თბილ ბინებში გამოვზამთრებთ, — ლეპარტელიანი. მანვე სიცილით დასძინა: აბა შეხედეთ, ჩვენებური ძროხის გარდა სხვა რომელი აბორიგენი ამ ვერტიკალურად დაყუდებულ კლდეებზეო...

ხშირად ვამბობთ ხოლმე, რომ ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს — ლამაზი, კეთილი, შრომისმოყვარე და ინიციატივიანი. მაგრამ ლენტეხელი ახალგაზრდები კიდევ უფრო გაყვარებენ თავს სიძნელეებისადმი შეუპოვრობით, შშობლიური რაიონის წინსვლისათვის მართლაც რომ თავდაუზოგავი მუშაობით. „ლამანაშურშიც“ სწორედ ასეთ ახალგაზრდებს შევხდით, ფერმაში ხომ უმრავლესობა ისინი არიან. აი ერთ-ერთი მათგანი, იამზე ქურასბედიანი... არჩეული იყო ლენტეხის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ხოფურის განყოფილების კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად, შარშან პირველ აპრილს საკუთარი სურვილით წამოვედა ფერმაში. მას თან გამოჰყვნენ სხვა კომკაეშირელებიც: მარინე ქურასბედიანი, მაია ლიპარტელიანი და დარეჯან გუგავა. რეზინის ჩექმებში და სპეცტანსაცმელში გამოწყობილებმა, უნდა გენახათ, როგორი გულმოდგინებით დაასუფთავეს პირუტყვის სადგომი, ხოლო საღამოს რა ოსტატურად მოწველეს ჯიქანსავსე ძროხები...

წინა ღამით მაღალ მთებში აქაიქ ჩამოეთოვა. მწველავებმა სწორედ იქით გაგვახედეს, თანაც თქვეს: გვეშინია სიცივემ პირუტყვი არ შეგვიწუხოს და წველადობაზე არ იმოქმედოსო. იამზე ქურასბედიანმა მეგობრები დაიამედა, საკვებს მივუმატებთ და რძეც არ დაგვაკლდებაო.

კომკავშირელ მწველავებს სულ რამდენიმე დღის წინათ აგიჟეთ ფიცრულ საბლში შეეყვევით, სადაც ისინი დროებით ცხოვრობენ. სიუფთავე და წესრიგი დაგვიჭადა იქ. ოღონდ ერთ ადგილას ფიცრებშუა ღრეჩო დარჩენილიყო და როცა შეეკითხეთ, ქარი ხომ არ უბერავს, სიცივე ხომ არ შემოდისო, ერთხმად გვიპასუხეს: არა, სიცივე სულაც არ გვაწუხებსო.

როგორ არ აწუხებთ, აწუხებთ, მით უმეტეს იმ დღეებში სულ ავდარი იყო. სხვა რამეებიც აწუხებთ, მაგრამ იცით, რომ განსაკუთრებით მთაში სრული კომფორტი ვერ იქნება. სიძნელეებიც ხვდებათ და კვლავაც შეხვდებათ გზადაგზა, ამიტომ დიდი შეგნებით, მონდომებით ირჯებიან. ზრომაში მათ, როგორც თვითონაც თქვეს, ხალისსა და ენერგიას მატებთ აგრეთვე ბოლო ხანს მშობლიურ სვანეთში მრავალი შექმნილი და აგებული, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

საკუთარი რეცეპტით

რაკი ლენტეხელებთან ჩვენი გაცნობა თავიდანვე ფერმებისა და საკვები ბაზის თაობაზე საუბრით დავიწყეთ, ურიგო არ იქნება, მეცხოველეობის აღმავლობისათვის გაწეული მუშაობა მოკლედ მაინც წარმოვაჩინოთ, მით უმეტეს, რომ იგი რაიონის ეკონომიკის მთავარი დარგია და გამოცდილებაც, კაცმა რომ თქვას, ბოლო ხანს აქ გვარიანი შეიძინეს.

ამბობენ, ჭეშმარიტება შედარებით შეიცნობო, ავიღოთ მეცხრე ხუთწლედის პირველი, 1976 წელი, როცა წელიწადში საშუალოდ ერთ საფურაჟე ძროხაზე 500-600 ლიტრ რძეს ძლივს იღებდნენ, ჩასაბარებელი პირუტყვის საშუალო წონა 170-სა და 180 კილოგრამს შორის მერყეობდა, ხოლო 500-მდე სული მსხვილფეხა რქიანი საქონელი იძულებით დაიკლა. აქ თოთხმეტივე კოლმეურნეობა ზარალიანი იყო, და ეს ზარალი წლის მანძილზე ასიათასობით მანეთს შეადგენდა.

ასეთი ჩამორჩენის პირველმიზეზი კი მტკიცე საკვები ბაზის უქონლობა გახლდათ, თუმცა „მტკიცეს“ ვინ ჩიოდა, რაიონში მაშინ დამზადებული თივა, რომ იტყვიან, პირუტყვს კბილს ქარადაც არ ჰყოფნდა. საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან ნამჯის შემოზიდვა ისედაც სუსტ მეურნეობებს დიდ ფინანსურ სიძნელეებს უქმნიდა. ამას ემატებოდა უგზოობა, ზამთრობით 52 სოფელი თითქმის მოწყვეტილი იყო რაიონულ ცენტრს.

ჰქონდათ თუ არა გამოუყენებელი რეზერვები ლენტეხელებს? ჰქონდათ, და მერე როგორი! ეს უფრო პრაქტიკულად და ყველას თვალდასანახავად ამ ბოლო წლებში გამოჩნდა.

პარტიის რაიკომის და რაისაბჭოს აღმასკომის განახლებულმა ხელმძღვანელობამ დაკვირვებით, გულდასმით, ხალხთან მოთათბირებით და მათთან ერთად შეისწავლა მდგომარეობის შეცვლის, საქმის დროზე და სერიოზულად გაუმჯობესების რეალური შესაძლებლობა. მჭიდრო კონტაქტები დამყარდა რესპუბლიკის სამინისტროებთან და უწყებებთან, შემუშავდა რაიონის ეკონომიკისა და მისი სოციალური განვითარების კომპლექსურ ღონისძიებათა სისტემა. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მთელი ყურადღება მიექცა ყველაზე მთავარი და აქტუალური პრობლემების გადაწყვეტას, ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას, მინდობილი საქმისათვის კადრების პასუხისმგებლობის ზრდას.

უპირველეს პრობლემად ჰირუტყვის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის საყოველთაო და დამკვრელური მუშაობა ჩაითვალა. დაისახა ამოცანა: არსებული სათიბ-საავარგულების ეფექტიანი გამოყენებით, საკვები კულტურების მაღალპროდუქტიულობით მიეღწიათ იმისათვის, რომ საზოგადოებრივი პირუტყვი მხოლოდ საკუთარი წარმოების საკვებით გამოეზამთრებინათ.

მყარი საკვები ბაზის შესაქმნელად ბრძოლა ლენტეხელებმა უპირველესად ალპურ სათიბ-საძოვრებთან დამაკავშირებელი გზების მშენებლობით დაიწყეს. ბოლო ორი წლინახევრის მანძილზე ალპურ ზონაში გაყვანილია 84 კილომეტრზე მეტი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა, მდინარე ლაფურის ხეობის ზემოთ ქალაიდაშის მთამდე დამონტაჟდა 1,2 კილომეტრი სიგრძის საბაგირო გზა, რომლითაც გათიბული ბალახი ძირს, სოფლის ფერმებთან ჩამოაქვთ. ამ მთიდან წინათ მეურნეობებს თივა ცხენებით, მარხილებითა და ზურგით ჩამოჰქონდათ, რითაც იკარგებოდა ძვირფასი საკვები, თანაც ძვირი იყო მისი თვითღირებულება. სათიბ-საძოვრების გაკულტურებას, მათს საგულდაგულოდ მოვლასა და დაცვას ზემოთ უკვე მოკლედ შევეხეთ, ამიტომ მოგახსენებთ მხოლოდ შედეგს: შარშან, 1982 წელს, რაიონში დამზადდა 14.325 ტონა უეფში საკვები, ანუ თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე 1976 წელს (7.285 ტონა). ნათესი ბალახების საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობაც (მხედველობაშია თივა) შესაბამისად 16 ცენტნერიდან 40 ცენტნერამდე გაიზარდა.

მთელ რესპუბლიკაში კარგად არის ცნობილი სენაჟის დამზადების ახალი ლენტეხური ტექნოლოგია. 1982 წელს „საკუთარი რეცეპტით“ აქაურმა მეურნეობებმა ჩაიეს 2500 ტონა სენაჟი, თანად გამოუსადეგარი ისეთი მცენარეულობისაგან და ტყის ფოთლებისაგან, რომელსაც პირუტყვი ამ სახით სიამოვნებით შეექცევა და კარგადაც ინელებს. ეს რეზერვიც საქმის დიდი დაინტერესების, მუდმივი ძიების, ხალხთან უშუალო კონტაქტების გზით გამოჩნდა და აამოქმედდა.

სასოფლო კლუბებსა თუ მეცხოველეობის ფერმებთან თვალსაჩინო ადგილას შენიშნავთ ასეთ წარწერას: „თუ ცხოვრობ ლენტეხის რაიონში, ან კუთვნილ შვებულებას მშობლიურ სოფელში ატარებ, შენი პატრიოტული მოვალეობაა აქტიური მონაწილეობა მიიღო საკვების დამზადებაში!“ ამ დევიზს ფართოდ ეხმაურებიან რაიონის საწარმოთა, დაწესებულებათა და სხვადასხვა ორგანიზაციათა თანამშრომლები.

წელსაც საკვების მოპოვების ფრონტზე მუშაობამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. ალაპლაპადა ცელები, ითიბება მწვანედ მოხასხასე მდელოები. ოჯახუნდარის საბჭოთა მეურნეობის მთიბავს ფორუზ ონიანს, რომელსაც როგორც რეკორდსმენ საკვებმომპოვებელს, რიგგარეშე მიეყიდა მსუბუქი ავტომანქანა „ვოლგა“, ბევრი მომდევარი გამოუჩნდა. აი წლეულს 5 სექტემბრისათვის უამინდობის მიუხედავად 11 ათასამდე ტონა ბალახი უკვე გათიბეს, რაც შარშანდელ ამავე პერიოდთან შედარებით გაცილებით მეტია.

ხშირად ვყოფილვართ ისეთი ფაქტის მომსწრე, როცა რაიმე სირთულის გამო მუშაკს თვითონ ფარ-ხმალი დაუყრია, ელოდება, როდის გამოჩნდება „ზემოდან მშველელი“, რომ უკარნახოს, მოუტანოს ფონდირებული რკინა თუ ცემენტი ან აუშენოს ასაშენებელი.

ლენტეხელები სხვა ყაიდის ხალხია, მათთვის დამახასიათებელია საკუთარი რეზერვების ძიება, სახელმწიფო ყუნანის გაფრთხილება, ნაკლები დანახარჯებით მეტი უკუგების მიღება.

აი ნახეს მშენებლობაზე დაწუნებული და გადაყრილი ცემენტის ფილები, საკედლე ბლოკები. რისთვის გამოგვადგებაო? — იფიქრეს და მეცხოველეებს მიაკითხეს: მალე შეფობის სახით ლენტეხის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის რცხმულურის ფერმასთან 250 ტონა ტევადობის, ხოლო ხელედის საბჭოთა მეურნეობის „ბავარის“ ფერმასთან 150 ტონა ტევადობის სასენაჟე ტრანშეები აშენდა. ასეთივე წესით აშენებენ ამჟამად 100 ტონიან სასენაჟე ტრანშეას ჩიხარეშის საბჭოთა მეურნეობის „მორელის“ ფერმასთან. დღეს რაიონის მეცხოველეთა განკარგულებაშია 3 ათასი ტონა ტევადობის სასენაჟე ორმოები. ეს ჯერჯერობით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას.

საკვებისათვის ზრუნვასთან ერთად მეცხოველე კომუნისტები არანაკლებ ზრუნავენ პირუტყვის ჯიშიანობისათვის: რა თქმა უნდა, მთის პირობებში ველის ჯიშები არ გამოდგება, ამიტომ ადგილობრივ ჯიშებთან შეჯვარებულ ძროხაზე იღებენ ეკონომიკას. უკვე შემოიყვანეს მაღალპროდუქტიული წაბლა კავკასიური ჯიშის ძროხები, რომლებიც კარგად ეგუებიან ადგილობრივ პირობებს. ყველა საბჭოთა მეურნეობასთან შეიქმნა ჯიშიანი პირუტყვის ჯგუფები.

მოკლედ რომ შევაჯამოთ მეცხოველეობაში გაწეული მუშაობა, ასეთ ციფრებს მივიღებთ: თუ 1976 წელს ყოველ 100 ფურზე შენარჩენებული იყო მხოლოდ 56 ხბო, 1982 წლის მონაცემებით, შენარჩენებულია 82 ნამატი, 460 კილოგრამით გაიზარდა საშუალო წველადობა, ხოლო წლეულს უფრო მეტს ვარაუდობენ. 1976 წელს გაწყდა 592 სული პირუტყვი, შარშან კი — მხოლოდ 91, ცენტნერი ხორცის თვითღირებულება 425 მანეთიდან 217 მანეთამდე შემცირდა, ხოლო მაშინდელი მილიონ 426 ათასი მანეთი ზარალის ნაცვლად მიღებულია 65 ათასი მანეთი მოგება. დღეს ლენტეხის რაიონს არავისი მოწყალება აღარ სჭირდება და მისი ფერმები მთლიანად უზრუნველყოფილია საკუთარი საკვებით. 1979 წელს რაიონში ერთ კაცდღეზე საშუალოდ 2 მანეთზე ნაკლები გაიცა, 1980 წელს კი — 6,25 მანეთი.

ლენტეხელ მეცხოველეთა წარმატება თვალსაჩინოა იმითაც, რომ ბოლო ოთხი წელიწადია რაიონი ზედიზედ ჯილდოვდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

მხრებს შლის, შენდება

ფთელი კვირა წვიმა არ შეწყვეტილა... ირგვლივ ხევები ცივი და ნესტიანია. ადიდებულა მთის ჩქარი მდინარეები — ცხენისწყალი და ლასკადურა, ხელეფურა და ზესხურა...

— უგზოობის და წყალდიდობისა ახლა აღარ გვეშინია, — ამბობს რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე დავით ტვილდიანი, — იქ, სადაც ყველაზე ძალიან იცოდნენ მათ გაავება, ბეტონის არტახებით შეკავრთ.

ბოლო წლებში ძალიან ბევრი აშენდა რაიონულ ცენტრსა და მის სოფლებში. დამთავრდა ცაგერ-ლენტეხის 22- კილომეტრიანი მაგისტრალური გზის მოასფალტება. ამას წინათ ცხენისწყლის ხეობას კვლავ შეესივნენ ექსკავატორები და ბულდოზერები, მძლავრი თვითმცლელები და სატკეპნი მანქანები. ასფალტმოსხმული გზა სულ უფრო წინ მიიწევს ლენტეხიდან ჩიხარეშისაკენ. შედეხართ თუ არა დაბაში, ყურადღებას აუცილებლად მიიქცევს ლამაზად და მკვიდრად ნაგები დამცავი კედელი, ქუჩის ორივე მხარეს განთავსება და გამწვანება. უნდა ითქვას, რომ ესეც ლენტეხელთა ინიციატივითა და გარჯით გაკეთდა. აშენდა 4 საშუალო, 5 რვაწლიანი სკოლების და 13 სასკოლო ინტერნატის ტიპობრივი შენობები, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თვალწარმტაცი შენობა. 220-ადგილიანი ტურისტული ბაზა, დაბა ლენტეხში ოთხი 40 ბინიანი და 10-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, დასახლება ჟუღარეშში — სამი 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი, დაიწყო 20-ბინიანი სპეციალისტების სახლის მშენებლობა, რაიონის მოსახლეობა უკვე სარგებლობს მდინარე ცხენისწყალზე და ლენტეხ-ჩიხარეშის გზაზე სოფლებთან დამაკავშირებელი 48 კაპიტალური და დროებითი ხიდით, სოფელ რცხმელურს შეემატა საბავშვო ბაღის კაპიტალური შენობა, ახალი საბავშვო ბაღები გაიხსნა დამატებით ბენიერსა და ლესამაში.

,,საქართველოს კომუნისტი“ № 9

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის „საქართველოს კომუნისტის“ მორიგი, მეცხრე ნომერი.

ჟურნალი იხსნ

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲘᲜᲐᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲝᲑᲘᲐ...

ᲥᲐᲚᲐᲚᲓᲖᲔ დაწერილს. და ნაამბობს თუ დავუჯერებთ, ერთი შეხედვით თითქოს ყველაფერი რიგზეა — მომსახურების სფეროს ობიექტები გამართულად მუშაობენ, მშრომელები კმაყოფილი არიან, რაიონის ხელმძღვანელი და მაკონტროლებელი ორგანოები აღწევენ დარგში წესრიგის დამყარებას.

ასეთი შთაბეჭდილება შეგექმნებათ, როცა გაეცნობით ცხაკაიას რაისაბჭოს აღმასკომის სხდომების ოქმებს, მიმოწერებს, მისი სპეციალური კომისიის — მომსახურების, ფასების, ტარიფების, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების წესების დაცვის, კონტროლის კომისიის საქმიანობას. და ეს ხშირად მართლაც ასეა, აღმასკომი და მისი კომისია ბევრ სასარგებლო საქმეს აკეთებენ.

ერთი სიტყვით, დარგში არსებული მდგომარეობა, შემოწმების მასალები, მიმდინარე საკითხები სისტემატურად განიხილება სხდომებზე, სესიებზე, თათბირებზე, ისაუბება და სრულდება დაგეგმილი ღონისძიებანი, რაშიც აქტიურად მონაწილეობს აღმასკომის ეს სპეციალური კომისიაც. მაგრამ, როცა პრაქტიკულ საქმეს. გარეშე თვალმა გადახედა, ადგილზე ფაქტობრივად არსებული მდგომარეობა ჩასულმა კომპეტენტურმა სპეციალისტებმა შეამოწმეს, გაირკვა სინამდვილე და ნათლად წარმოჩინდა თეთრი და შავი, ორგანიზაციული და საკონტროლო მუშაობის ავკარგი, მომსახურების სფეროს ორგანიზაციებთან არსებული ნეგატური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების ჩრდილოვანი მხარეები.

სულ რაღაც სამიოდე დღე დაჰყო ცხაკაიას რაიონში ვაჭრობის ინსპექციის სარეიდო ბრიგადამ, რომელმაც 26 ობიექტი შეამოწმა და, სამწუხაროდ, თითქმის ყველა მათგანში სერიოზული დარღვევა, დამახინჯება და დანაშაული გამოვლინდა. ბრიგადამ შეამოწმა რაიკავშირის, ქალაქვაჭრობის, კოოპვაჭრობის, რკინიგზის მუშათა მომარაგების, საგზაო რესტორნებისა და ბუფეტების ტრესტის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს და სხვა ორგანიზაციების საწარმოები. სურათი ისეთი არასასიამოვნო გამოვიდა, რომ გვიფიქრებინებს — ამ საქმისათვის აქ თავს მაინცდამაინც არავინ იწუხებს, მომსახურების სფეროს საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესებისათვის პრაქტიკულად ცოტა რამ კეთდება.

სხვანაირად ვერ განსჯი კაცი, რადგან შემოწმებულ მაღაზიებში, საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოებსა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში მრავალი დარღვევა და დანაშაული გამოვლინდა (ზომა-წონაში, ანგარიშში მოტყუება, დეფიციტური საქონლის გადამალვა, ფასების გამოუცხადებლობა, ზედმეტის გადახდევინება...). მაგალითად, კოოპვაჭრობის № 8 მაღაზიაში თითქმის ყველა პროდუქტს ზედმეტ ფასებში ყიდდნენ. ამ მაღაზიაში მომხმარებელს 23 მანეთისა და 50 კაპიკის ღირებულების პროდუქტში ხუთ მანეთ-ნახევრით მეტი გადაახდევინეს. ასევე ზედმეტი გამოძალეს მოქალაქეს, რომელმაც საქონლის ხორცი შეიძინა. საგზაო რესტორნებისა და ბუფეტების ტრესტის რესტორან „ტურისტში“ სხვა დარღვევებს ისიც დაუმატეს, რომ მომხმარებელს 20 მანეთი დანახარჯიდან 7 მანეთით მეტი უნგარიშეს. ზედმეტი გადახდევინების ფაქტი გამოვლინდა რაიკოოპერატივის რესტორან „ჯიხაშში“. შემმოწმებლებმა დეფიციტური საქონლის გადამალვის ფაქტებსაც მიაკვლიეს რაიონიგზის მუშათა მომარაგების, ქალაქვაჭრობისა და ზოგიერთი სხვა ორგანიზაციის სავაჭრო ობიექტებში.

ისიც გაირკვა, რომ სავაჭრო მაღაზიების სასურსათო საქონლით მომარაგების საქმესაც არცთუ ისე გულიანი კაცის ხელი ეტყობა. აქაურ მაღაზიებს აკლიათ საჭირო საქონლის ასორტიმენტი. გასაყიდად გამოტანილი არ იყო ისეთი სახეობის პროდუქცია, რომელიც ყოველდღიურად სჭირდებათ ხალხს. ის კი ფაბრიკა-ქარხნებშიც ბლომად გამოდის და ბაზების და საწყობების თაროებსაც კარგა მაგრად ამძიმებს. პირდაპირ გასაოცარია, ნუთუ უზერხულობას არ გრძნობენ ისინი ვისაც, რაიონში ვაჭრობის საქმის მოთავეობა აკისრიათ, როცა ხედავენ, რომ ქსელში არ არის ასანთი, ლიმონათი, ლუდი, დაფნის ფოთოლი, მაკარონი, თევზეული, ბავშვთა საკვები კონცენტრატები, მოსწავლეთა ფორმები, ჩაი, ბოსტნეულის და ხორცეულის კერძები, საუზმეული, ძმარი და უბრალო სავარცხელიც კი.

ამ და ზოგიერთ სხვა სახეობის საქონელზე გამყიდველები სისტემატურად უარს ეუბნებოდნენ მომხმარებლებს ქალაქვაჭრობის № 2 სასადილოში, № 15 სასურსათო, რკინიგზის მუშათა მომარაგების № 30, სოფელ მეორე ნოსირის შერეული საქონლის მაღაზიებში და სხვა სამრეწველო საქონლისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში. ამასთან რეიდის მონაწილენი სავაჭრო ქსელში სარეალიზაციოდ ვადაგასულ და უიარლიყო საქონლის გაყიდვის ფაქტებსაც წააწყდნენ. ასეთი დარღვევები აღმოჩნდა სოფელ ნოსირის სავაჭრო ცენტრში, ეკის სასურსათო მაღაზიაში, ამავე სოფლის მაღაზიაში — „ყველაფერი ოჯახისათვის“, ქალაქვაჭრობის № 15, 26, მეორე ნოსირის შერეული, ბათარას სამრეწველო და სხვა მაღაზიებში. არც სოფელ თეკლათის სასაუზმესა და საზოგადოებრივი კვების სხვა ობიექტებში, რკინიგზის მუშათა მომარაგების, სავაჭრო და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებსა და საკოლმეურნეო ბაზარში თაკილობენ მოტყუებას, ფასების დამახინჯებას, საქონლის გადამალვას და ვაჭრობის წესების სხვა უხეშ დარღვევებს.

რაიონის ტერიტორიაზე ბლომად არის ინდივიდუალური კერძის პატარ-პატარა სახელოსნოები, რომლებსაც ორი და სამი კაცი ემსახურება. შემოწმებით გაირკვა, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საწარმოებში, კერძოდ, ამ სახელოსნოებში მუშაობის ისეთი ორგანიზაციაა, შეკვეთების მიღების, ქვითრის გამოწერის, ფასების გადახდევინების ისეთი სისტემაა დანერგილი, რომ დარღვევას და დამახინჯებას ადვილად მოახერხებს სულმოკლე კაცი. ასეთ სახელოსნოებში შემოღებულია ეგრეთ წოდებული „მოსიარულე მოლარეთა“ მიერ შეკვეთების მიღება-გაფორმების წესი. ისე გამოდის, რომ ადამიანი უნდა ელოდოს, თუ როდის ჩამოვლის მოლარე და როდის მიიღებს შეკვეთას. აქ სიძნელეებსა და უხერხულობას ისიც ქმნის, რომ მოლარე ამ „მეთოდით“ ბევრ სახელოსნოს ემსახურება და, ცხადია, თითო სახელოსნოში ერთ-ორ საათს თუ შეჩერდება.

აქ საქმე ის გახლავთ, რომ რატომღაც უნდობლობას უცხადებენ ხელოსნებს, თითქოს ისინი თავიანთი ცოდნა-განათლებით თავს ვერ გაართმევენ შეკვეთის გაფორმებისას იმ მრავალკითხვიანი ქვითრის შევსებას, რომელიც შემკვეთისა და მიმღების ხელმოწერით უნდა დადასტურდეს, როგორც ოფიციალური დოკუმენტი. (ამაზე ცხაკაიელი ამხანაგებიც ხაზგასმით და მკაცრად ლაპარაკობდნენ. როგორც ჩანს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში მუშაობის ასეთი მეთოდი სხვა რაიონებშიც არის დანერგილი).

ამიტომაც ისმება კითხვა — რა გაჭირდა, რომ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ ვერ შეიმუშავა დაკვეთის გაფორმების ისეთი ქვითარი, რომლის გარჩევა-შევსებას თავს გაართმევდნენ ხელოსნებიც? ალბათ ამ საკითხზე სამინისტროსაც მოუწევს მსჯელობა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

ცხაკაიას რაიონის მოსახლეობის მომსახურების სფეროს დარგის მუშაობაში იმდენი ნაკლი და ხარვეზი გამოვლინდა, რაისაბჭოს აღმასკომი, მისი ქვეგანაყოფები მაკონტროლებელი ორგანიზაციები ისე მოუქნელად მოქმედებდნენ, რომ საჭირო შეიქნა შემოწმების შედეგები საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში არსებული ნეგატური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომისიის მსჯელობის საგანი გამხდარიყო.

სხდომაზე ბევრი რამ ისეთი გაირკვა, რამაც ნათელი მოჰფინა რაიონში მომსახურების სფეროს დარგისადმი ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებს, რომელთა გამოსწორებისა და აღმოფხვრისათვის სერიოზული მუშაობა იქნება საჭირო, რათა ამ დარგის მთელი საქმიანობა უპასუხებდეს თანამედროვე მოთხოვნებს, შრომითი კოლექტივების, მთელი მოსახლეობის ინტერესებს.

ცხადია, კომისიის სხდომაზე ‘ცხაკაიას რაისაბჭოს აღმასკომის, მომსახურების დარგის ორგანიზაციების წარმომადგენლების მობოდიშება, იმის აღიარება, რომ მკაცრი დასჯის ღირსნი არიან, როდი უშველის საქმეს. როგორც სხდომაზე კომისიის წევრებმა აღნიშნეს, მთავარი და გადამწყვეტი ის გახლავთ, რომ საქმისადმი პარტიული მიდგომით, ორგანიზატორული საქმიანობით, მაკონტროლებელი ორგანიზაციების ამოძრავებითა და ამოქმედებით, მოვალეობისადმი ერთგული და სინდისიერი დამოკიდებულებით შეიქმნას ისეთი ვითარება, რომ მომსახურების სფეროს ყველა რგოლი, უბანი გამართულად მუშაობდეს, მისი თითოეული მუშაკი გრძნობდეს პასუხისმგებლობას ხალხის, სახელმწიფოს და კანონის წინაშე.

Გ. ᲩᲘᲥᲕᲘᲜᲘᲫᲔ.

ᲨᲔᲕᲐᲛᲪᲘᲠᲝᲗ ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲨᲔᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ!

ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

14 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ მოსკოვში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტრომ საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გამართეს პრესკონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის პრობლემებს.

პრესკონფერენციაზე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ გ. მ. კორნიენკომ გააკეთა განცხადება: როგორც ცნობილია, 6 სექტემბერს ჟენევაში დაიწყო ევროპაში ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის საკითხებზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების ახალი რაუნდი.

ეს უბრალოდ მორიგი რაუნდი როდია. უკასუხო რა ამას წინათ გაზეთ „პრავდის“ კითხვებზე, ი. ვ. ანდროპოვმა მას გადამწყვეტი უწოდა. გადამწყვეტი იმ თვალსაზრისით, რომ ამ რაუნდის დროს უნდა განისაზღვროს: იქნება თუ არა მორიგება, რომელიც თავიდან ააცილებს ევროპას, და არა მარტო ევროპას ბირთვული გამალებული შეიარაღების ახალ, ამასთან მეტად საშიშ ეტაპს.

პასუხი კითხვაზე „იქნება თუ არა ასეთი მორიგება?“ დამოკიდებულია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მთლიანად ნატოზე, იმაზე, დაადგება თუ არა, ბოლოს და ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატები სერიოზულ, საქმიან პოზიციას. მოლაპარაკებაზე, თუ მისი პოზიცია კვლავინდებურად იქნება არაკონსტრუქციული, შეგნებულად გათვალისწინებული მოლაპარაკების ჩასაშლელად.

გაზეთ „პრავდისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ი. ვ. ანდროპოვმა მოკლედ, შემაჯამებელ და ამავე დროს მკაფიო ფორმით ცხადყო, თუ რა თანამიმდევრულად, კონსტრუქციულად და მოქნილად უდგება საბჭოთა კავშირი მოლაპარაკებაზე ურთიერთმისაღები მორიგების მიღწევას. ამ მიდგომის არსი შემდეგია.

სსრ კავშირი კვლავ მზად არის ნამდვილი ნულოვანი ვარიანტისათვის, როცა ევროპა მთლიანად დაიღწევს თავს როგორც საშუალო სიშორის, ისე ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს.

სსრ კავშირი მზად არის ნაკლებად რადიკალური, მაგრამ ამავე დროს შორს გამიზნული ვარიანტისთვისაც, რომლის დროსაც ორივე მხარე უარს იტყვის განალაგოს ევროპაში საშუალო სიშორის ყოველი ახალი ბირთვული სისტემა, ხოლო უკვე არსებული ამგვარი სისტემები შეამცირონ დაახლოებით სამჯერ.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაშიც საქმე, ცხადია, უნდა ეხებოდეს ყველა სისტემას— რაკეტებსაც და საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის მატარებელ თვითმფრინავებსაც.

საბჭოთა კავშირის მიერ შეთავაზებული შემცირების შემდეგ ორივე მხარეს — სსრ კავშირსაც და ნატოსაც — დარჩებათ თანაბარი რაოდენობის როგორც მატარებელი, ესე იგი რაკეტები და თვითმფრინავები, ისე მათი საბრძოლო მუხტები.

თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპზე დაფუძნებული ასეთი წინადადებების უარყოფა შეუძლიათ მხოლოდ იმათ, ვისაც საერთოდ არ სურს მორიგება.

ხომ არ შეუძლია ვინმეს, თუ დაკარგული არა აქვს რეალობის გრძნობა, რომ აღარფერი ვთქვათ ისეთ ცინგვაზე, როგორიც სამართლიანობაა, სერიოზულად იქონოს იმის იმედი, რომ საბჭოთა კავშირი დაეთანხმება „ნულს ამერიკულად“, რაც პრაქტიკულად ნიშნავს ნულ რაკეტებს საბჭოთა კავშირისათვის და ბირთვული შეიარაღების ნულ შემცირებას ნატოსათვის?

ასევე არარეალისტურია იმაზე ფიქრი, რომ საბჭოთა კავშირი დაეთანხმება ეგრეთ წოდებულ „შუალედურ“ ამერიკულ ვარიანტს, რომლის თანახმად სსრ კავშირმა, ერთი მხრივ, უნდა შეამციროს თავისი საშუალო სიშორის საშუალების ბირთვული არსენალი (ამასთან არა მარტო ევროპულ ნაწილში, არამედ აღმოსავლეთშიც, რაც საერთოდ არ ეხება საქმეს), ხოლო, მეორე მხრივ, აკურთხოს ევროპაში გარკვეული რაოდენობის ახალი ამერიკული რაკეტების განლაგება აქ უკვე არსებული ინგლისური და ფრანგული რაკეტების და თვით ამერიკის შეერთებული შტატების მოწინავე ბაზირების ბირთვული საშუალების დამატებით. სხვანაირად, ხატოვნად რომ ვთქვათ, საბჭოთა კავშირს ამ შემთხვევაშიც დარჩებოდა „მინუსი“, ნატოს კი „პლუსი“.

და თუ ამერიკის დელეგაცია ჟენევაში ამჯერადაც იგივე ბაგაქით ჩამოვა, ესე იგი, თუ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია წინანდელი დარჩება, ეს მოასწავებს ერთ რამეს — ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ადმინისტრაცია ურთიერთმისაღები მორიგების გზების ძიებაზე კი არა, მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ დაიწყოს საჩქაროდ ევროპაში „პერშინგ-2“ ბალისტიკური რაკეტებისა და

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

დიდი სიშორის ფრთოსანი რაკეტების განლაგება.

მთელი პასუხისმგებლობა მოვლენათა განვითარებისათვის, რასაც მოჰყვება ბირთვული კონფრონტაციის დონის შემცირება კი არა, ამაღლება და ამასთან დაკავშირებით ომის საფრთხის გადიდება, რა თქმა უნდა, დაეკისრებათ შეერთებულ შტატებსა და მის იმ ნატოელ და ნატოსგარეშე მოკავშირეებს, რომლებიც მას კვერს უკრავენ.

პრესკონფერენციაზე გამოვიდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. თ. ახრომეევი, რომელიც შეეხო ევროპაში ბირთვული შეიარაღების შესახებ ჟენევის მოლაპარაკებაზე სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მხარეს. მან თქვა:

საბჭოთა კავშირის პოზიცია ევროპაში ბირთვული შეიარაღების დარგში მისი რეალიზაციის შემთხვევაში არ შელახავს არავის ინტერესებს, გამოიწვევს მის დიდ რიცხობრივ შემცირებას. ჩვენ შემოგვაქვს წინადადება, რომ ორივე მხარეს —სსრ კავშირსა და მოლიანად ნატოს ბლოკს— ჰქონდეს გარკვეული რაოდენობის საშუალო სიშორის რაკეტები და თვითმფრინავები მინიმალურ შეთანხმებულ დონეზე. ამასთან საბჭოთა კავშირს საშუალო სიშორის რაკეტები და მათი ქობინები ნაკლები დარჩება (გთხოვთ უურადღება მიაპყროთ ამას, ვიმეორებ — ნაკლები), ვიდრე 1976 წელს, როცა ჩვენ საერთოდ არა გვქონია ახალი რაკეტები, რომლებსაც დასავლეთში სს-20 რაკეტებს უწოდებენ. რა არის ასეთ წინადადებაში მიუღებელი ამერიკის შეერთებული შტატებისა და მთლიანად ნატოს ბლოკისათვის?

შორს გამიზნულია ი. ვ. ანდროპოვის მიერ გაზეთ „პრავდის“ კითხვებზე გაცემულ პასუხში ჩამოყალიბებული ჩვენი ინიციატივა იმის შესახებ, რომ სსრ კავშირი მზად არის, თუ ამერიკა არ განალაგებს თავის რაკეტებს, მოსპოს ევროპულ ნაწილში შესამცირებელი თავისი საშუალო სიშორის, მათ შორის სს-20 რაკეტები. ეს წინადადება ბევრად აადვილებს ურთიერთმისაღები მორგების მიღწევას.

როცა წინადადებანი შემოგვაქვს, ჩვენ ვითვალისწინებთ საშუალო სიშორის მატარებლების (რაკეტებისა და თვითმფრინავების) მხრივ ევროპაში არსებულ დაახლოებითს წონასწორობას. ამ ტიპის ბირთვული საბრძოლო მასალების მხრივ ნატოს ამჟამად ერთ-ნახევარჯერ მეტი უპირატესობა აქვს. შეგახსენებთ, რომ ნატოს ქვეყნებს ამ რეგიონში აქვთ საშუალო სიშორის ბირთვული იარაღის 857 მატარებელი: ეს არის ამერიკის F-111 და F-4 მატარებელი თვითმფრინავები გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და დიდ ბრიტანეთში, ბირთვული იარაღის მატარებელი თვითმფრინავები (ა-6 და ა-7), რომლებიც ავიამზიდებზეა განლაგებული ევროპის ნაპირებთან — სულ 650 ერთეულზე მეტი. დიდ ბრიტანეთს აქვს „პოლარის ა-3 ტკ“ 64 რაკეტა. საფრანგეთს — 98 რაკეტა და 44 „მირაჟ-IV“ ბომბდამშენი.

ნატოს სულ აქვს საზღვაო და მიწისზედა ბაზირების 162 რაკეტა და საშუალო სიშორის დაახლოებით 700 მატარებელი თვითმფრინავი. მათ მოქმედების სიშორე (რადიუსი) (1000-დან 4500 კილომეტრამდე) შესაძლებლობას აძლევს მიაღწიონ სსრ კავშირის ტერიტორიაზე განლაგებულ ობიექტებს ურალამდე.

ნატოს ამ დაჯგუფებას სსრ კავშირის მხრივ უპირისპირდება სს-20, სს-4 რაკეტები და საშუალო ბომბდამშენები. მათი საერთო რიცხვი ამჟამად 938 ერთეულია.

დასავლეთში ლაპარაკობენ თითქოს სსრ კავშირს დიდი უპირატესობა ჰქონდეს ევროპაში საშუალო სიშორის საშუალებების მიხედვით. ამასთან საქმეს ისე წარმოსახავენ, თითქოს ნატოს ბლოკს ევროპაში არ ჰქონდეს საშუალო სიშორის საშუალებები. ამერიკის შეერთებული შტატები უარს ამბობს გაითვალისწინოს მოლაპარაკებაზე მოწინავე ბაზირების ამერიკული საშუალებები და ინგლისისა და საფრანგეთის ბირთვული შეიარაღება.

საკითხავია, რა საშუალებებზეა განლაგებული საბრძოლოდ გამზადებული 3 ათასზე მეტი ამერიკული, ინგლისური და ფრანგული ბირთვული მუხტები, რომლებსაც შეუძლიათ დააზიანონ სამიზნეები საბჭოთა კავშირისა და მისი მოკავშირეების ტერიტორიაზე.

და ამ პირობებში საბჭოთა კავშირს წინადადებას აძლევენ მოსპოს საშუალო სიშორის ყველა თავისი რაკეტა (დასავლეთში და აღმოსავლეთში), თანაც აცხადებენ წინაღმდეგ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატები „პერშინგ-2“ რაკეტებსა და დიდი სიშორის ფრთოსან რაკეტებს ევროპაში განალაგებსო. ეს არის სსრ კავშირის ცალმხრივი განიარაღების უულტიმატუმური მოთხოვნა.

წამოაყენა რა „ნულოვანი ვარიანტის“ ნაცვლად „შუალედური გადაწყვეტა“, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის არ შეუცვლია თავისი პოზიცია და ფაქტობრივად მოითხოვა ახალი ამერიკული რაკეტების განლაგება ევროპაში. მაგრამ მათი განლაგება ნიშნავს აქ საშუალო სიშორის ბირთვული საშუალებების ზრდას, ამჟამად არსებული წონასწორობის ლიკვიდაციას.

ამრიგად, მხარეები მოლაპარაკებაზე პრინციპულად სხვადასხვა პოზიციას ადგანან. ამერიკის პოზიცია ის არის, რომ ერთი მხარე — საბჭოთა კავშირი — უნდა განიარაღდეს, მეორე მხარე — ამერიკის შეერთებული შტატები და მისი ნატოელი პარტნიორები კი, პირიქით, შეიარაღდნენ. ასეთ საფუძველზე მორიგება არ შეიძლება.

საბჭოთა პოზიცია უზრუნველყოფს ურთიერთმისაღებ გადაწყვეტას. საბჭოთა კავშირი არ ცდილობს მიაღწიოს არც ერთი რაკეტის, არც ერთი თვითმფრინავის, არც ერთი ბირთვული საბრძოლო მუხტის უპირატესობას.

მაგრამ თუ საქმე ევროპაში ამერიკული რაკეტების ფაქტობრივ განლაგებამდე მივა, მაშინ სსრ კავშირი და მისი მოკავშირეები, ბუნებრივია, მიმართავენ შესაბამის კონტრზომებს თანასწორობის შესანარჩუნებლად როგორც ევროპული, ისე გლობალური მასშტაბით. ეს ჩვენი არჩევანი როდი იქნება. მაგრამ ექვი არავის არ უნდა შეეპაროს იმაში, რომ საბჭოთა კავშირს, როგორც ეს ი. ვ. ანდროპოვის განცხადებაში იყო ნათქვამი, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განახორციელოს ეს.

შემდეგ გ. მ. კორნიენკომ და ს. თ. ახრომეევმა უპასუხეს კორესპონდენტთა კითხვებს.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: როგორია სსრ კავშირის იმ მზადყოფნის სიმხედრო მნიშვნელობა, რომ მოსპოს ევროპაში თავისი შესაძლებელი რაკეტები, რაც განაცხადა ი. ვ. ანდროპოვმა გაზეთ „პრავდისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, და სერთოდ რას ნიშნავს ამ შემთხვევაში ტერმინი „მოსპობა?“

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: თუ ჩვენ წინადადებას მიიღებენ, ეს ნიშნავს, რომ მკვეთრად შემცირდება საშუალო სიშორის რაკეტების რიცხვი საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში, რის შედეგადაც ორივე მხარეს ისინი თანაბარი რაოდენობით ექნება. ჩვენ წინადადებას ვიძლევით აგრეთვე შეუმცირდეთ საშუალო სიშორის თვითმფრინავების რიცხვი ნატოს ქვეყნებს კონტინენტზე. ამრიგად, უზრუნველყოფილი იქნება ძალთა წონასწორობა საშუალო სიშორის შეიარაღებაში, მაგრამ არსებითად უფრო დაბალ დონეზე. რაც შეეხება ტერმინს „მოსპობას“, მხედველობაში გვაქვს გასაშვები დანადგარების, აგრეთვე რაკეტების, როგორც საბრძოლო ერთეულების, შემცირება. შესამცირებელი რაკეტების მოსპობის კონკრეტული წესი განხორციელდება იმ პროცედურების შესაბამისად, რომელთა შემუშავება შეიძლება მოლაპარაკების დროს. რასაკვირველია, უნდა მოხდეს იმ შესაბამისი ობიექტებისა და მომწყობილობის დემონტაჟი და მოსპობა, რომლებსაც შეერთებული შტატები „პერშინგ-2“ ქმნის ევროპაში „პერშინგ-2“ რაკეტებისა და ფრთოსანი რაკეტების განლაგებისათვის მომზადების წესით.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: რატომ მოითხოვს ასე დაჟინებით სსრ კავშირი სათვალავში შეიტანონ ინგლისისა და საფრანგეთის ბირთვული შეიარაღება? დასავლეთში ხომ ამტკიცებენ, მათი ოდენობა უმნიშვნელოაო.

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: ეს სწორი არ არის. ნატოს საერთო ბალანსში ინგლისისა და საფრანგეთის საშუალებები ახლა ბირთვული პოტენციალის მეოთხედს შეადგენს. ეს 200-ზე მეტი მატარებელია, მათ შორის არის 162 რაკეტა, რომლებზეც 400-ზე მეტი ბირთვული ქობინია. ყველა ისინი დაბინაზებულია საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებზე. რეიგანის ადმინისტრაციის ჯიუტი უარი შეეცალოს თავისი მოდგომა ინგლისისა და საფრანგეთის ბირთვული რაკეტების გათვალისწინებისადმი, კაცმა რომ თქვას, ჩვენთვის გასაგებია. მოლაპარაკების ფარგლებიდან ამ საშუალებების გამოტანით ნატოს ბლოკი იმედოვნებს უწინარეს ყოვლისა მიაღწიოს სამხედრო უპირატესობებს. სწორედ ამაზე აგებს ფაქტობრივად მთელ პოზიციას ამერიკის შეერთებული შტატები მოლაპარაკებაზე. თუ ამ რაკეტებს მოლაპარაკებაზე გავითვალისწინებთ, მაშინ აღარაფერი არა რჩება ამერიკის შეერთებული შტატების არც „ნულოვანი ვარიანტისაგან“, არც „შუალედური გადაწყვეტისაგან“, არც სსრ კავშირის „რაკეტული მონოპოლიის“ შესახებ მსჯელობებისაგან. ამერიკის შეერთებული შტატების მიზანი აშკარად ის არის, რომ გაჟიანუროს მოლაპარაკება და საბჭოთა კავშირის უტეხობის მომზეზებით განალაგოს თავისი რაკეტები დასავლეთ ევროპაში.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: დასავლეთში ამტკიცებენ, თითქოს სსრ კავშირს 1983 წლამდე არ დაუსვამს საკითხი ნატოს მხარეზე ინგლისური და ფრანგული ბირთვული შეიარაღების სათვალავში შეტანის შესახებ, იგი მხოლოდ ლაპარაკობდა ევროპაში ამერიკული ბირთვული საშუალებების თაობაზე. ასეა თუ არა ეს?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: არაფერი არ დგას ჭეშმარიტებისაგან ისე შორს, როგორც ამგვარი მტკიცება. ევროპაში ბირთვული შეიარაღების შესახებ მოლაპარაკების დაწყებისთანავე 1980 წლის ოქტომბერში საბჭოთა მხარემ მაშინვე ზუსტად და მკაფიოდ დასვა საკითხი ინგლისური და ფრანგული ბირთვული სათვალავში შეტანის შესახებ

როგორც კი მოლაპარაკება განახლდა რეიგანის ადმინისტრაციის დროს 1981 წლის ნოემბერში, საბჭოთა მხარემ, ბუნებრივია, დადასტურა თავისი პოზიცია ამ საკითხში. ჩვენი ეს პოზიცია არაერთგზის ჩამოგვიყალიბებია ოფიციალურად და საუბრებშიც, კერძოდ, იმ განცხადებების ავტორებთან რომლებიც, როგორც ჩანს, მხედველობაში ჰყავდა კორესპონდენტს. ამ განცხადებათა ავტორებს შეიძლება შევახსენოთ ისიც, რომ ჯერ კიდევ არც ისე დიდი ხნის წინთ, 1981 წლის აგვისტოში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური მთავრობის პრესის უწყებამ გამოაქვეყნა დოკუმენტი, რომელიც თავით თეორზე წერია: „საშუალო სიშორის ბირთვულ იარაღს უნდა განეკუთვნებოდეს საზღვაო ბაზირების ბრიტანული და ფრანგული ბალისტიკური რაკეტები, რადგან ისინი არ მოუცავს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ნელშეკრულებას“. როგორც ნათქვამია, ამაზე გასაგებად ვერ იტყვი.

ისე რომ, როგორც ხედავთ, შეიცვალა არა ჩვენი პოზიცია, არამედ იმათი პოზიცია, ვინც ახლა კვერს უკრავს ამერიკის შეერთებული შტატების სრულიად არარეალისტურ ხაზს.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: როცა სსრ კავშირმა განაცხადა, რომ მზად არის შეამციროს თავისი საშუალო სიშორის რაკეტების რიცხვი, მათ შორის სს-20 რაკეტები, ამით ხომ არ აღიარებს, რომ მას ამჟამად აქვს უპირატესობა ამ საშუალებების მხრივ ევროპაში?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: არა, ასეთი უპირატესობა არ არსებობს. საშუალო სიშორის ბირთვული საშუალებების მხრივ ხომ დაახლოებით თანაბარი თანაფარდობის დროს მხარეებს ამჟამად აქვთ რაკეტებისა და მატარებელი თვითმფრინავების სხვადასხვა ქვედონე. ნატოს აქვს 162 რაკეტა და დაახლოებით 700 მატარებელი თვითმფრინავი. სსრ კავშირს, მართლაც, რაკეტები მეტი აქვს, მაგრამ სამაგიეროდ ნატოზე ერთ-ნახევარჯერ ნაკლები მატარებელი თვითმფრინავები ჰყავს. როცა ახლა ვაცხადებთ, რომ მზად ვართ გავუთანაბროთ რაკეტების რიცხვი ინგლისისა და საფრანგეთის რაკეტების რიცხვს, ჩვენ ამავე დროს მოვითხოვთ გათანაბრდეს მხარეთა ძალები მატარებელი თვითმფრინავების მიხედვითაც. ასე რომ, მთლიანად საშუალო სიშორის საშუალებებში საბჭოთა კავშირს არავითარი უპირატესობა არა აქვს, და არც არავითარი უპირატესობის მოპოვებას არ ვცდილობთ.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: მზად არის თუ არა სსრ კავშირი განიხილოს ისეთი მორიგების შესაძლებლობა, რომელიც დასაშვებად მიიჩნევს ევროპაში ამერიკული რაკეტების დაგეგმილზე გაცილებით ნაკლები რიცხვის განლაგებას?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ: სსრ კავშირმა უკვე მოლაპარაკება ამერიკის. შეერთებულ შტატებთან იმიტომ დაიწყო, რომ მორიგებულიყო ევროპაში ბირთვული შეიარაღების შემცირების შესახებ. — მას გვიკარნახებს საბჭოთა სახელმწიფოს და მისი მოკავშირეების უშიშროების ინტერესები“.

ამიტომ იმათ, ვისაც შეიძლება ჰქონდეს იმედი, რომ სსრ კავშირი, როგორც ეტყვიან, შუალამეს რომ ხუთი წუთი დააკლდება, დათმობს თავის პრინციპულ პოზიციებს — დათანხმდება ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების გარკვეული რიცხვის განლაგებასა და იმაზე, რომ სათვალავში არ შეიტანოს ინგლისური და ფრანგული ბირთვული საშუალებანი, — მწარე იმედგაცრუება ელით. ეს არ მოხდება არც მაშინ, როცა შუალამეს დააკლდება ხუთი წუთი, არც მაშინ, როცა დააკლდება ერთი წუთი და არც ნაშუალამევს მოხდება.

* * *

პრესკონფერენციის მონაწილეებმა უპასუხეს კორესპონდენტების სხვა კითხვებსაც. (საკდესი).

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ

ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲭᲕᲔᲑᲘ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Ს

ᲫᲔᲒᲚᲘ ᲔᲜᲘᲡᲐ ᲬᲚᲘᲡ

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲛᲪᲐᲗᲐ მთელმა კომპლექსმა შექმნა იმის წინამძღვრები, რომ ძველი თბილისის ტერიტორია ჩვენი წელთაღრიცხვის განთიადზე, პირველსავე საუკუნეებში მჭიდროდ დასახლებულიყო. თბილისმა იმთავითვე მიიქცია ქართლის მეფეების ყურადღება. ქართველი მემატიანის ლეონტი მროველის თქმით, თბილისის ციხე ააგეს „ციხედ მცხეთისა“ ქართლის იმდროინდელი დედაქალაქის მცხეთის გასამაგრებლად...

თბილისის ციხესიმაგრეს ბევრი მტერი და დამპყრობი უნახავს, მისი ბედი საქართველოს ისტორიის თანაზიარია. იგი იცავდა დედაქალაქს, მაგრამ საქართველოში გაბატონებული დამპყრობლებიც ამ ციხეში ცდილობდნენ ფეხის მოკიდებას, ამაგრებდნენ მას და აქედან სურდათ ებატონათ ქართველ ხალხზე. თბილისის ციხეს არაერთხელ დაუცავს ჩვენი დედაქალაქი მოძალადეებისაგან და მისი მოსახლეობა რბევა-აწოიკებისაგან. უკანასკნელად აღა მაჰმად ხანის ლაშქარს დახვდა თბილისის ციხე. მის მიერ დაზიანებული ციხესიმაგრე დეტალურად აქვს გამოხატული პორუჩიკ ზუიკოს.

ორასი წლის წინათ საქართველოს რუსეთთან დამოკავშირებამ ბოლო მოუღო თურქ-ოსმალთა და ირანელთა შემოტევებს. რუსეთთან შეერთების შემდეგ თბილისის ციხემ თითქმის დაკარგა კიდეც თავისი მნიშვნელობა.

* * *

ᲓᲦᲔᲡ, როცა დიდი ყურადღება ექცევა არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვა-აღდგენას დღის წესრიგში დადგა თბილისის დედაციხის აღდგენა-გამაგრება.

კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და ქალაქის საბჭოს ერთობლივი დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო შეუდგა თბილისის დედაციხის აღდგენა-გამაგრებას.

თბილისის დედაციხე რთულ რელიეფზე მარჯვედ არის დაგეგმარებული. იგი განლაგებული იყო რამდენიმე ბუნებრივ ტერასაზე. დედაციხემ ჩვენამდე გადაეცოებული სახით მოაღწია, ციხის კედელ-ბურჯებზე თვალსაჩინოდ იკითხება სამშენებლო ფენების უაღრესად ჭრელი სურათი. მრავალფეროვანია მოხმარებული საშენი მასალების „ასორტიმენტიც“. საშენ მასალად გამოყენებულია კლდის უხეშად დამუშავებული სხვადასხვა ჯიშის ქვა, ახლახან გამოვლენილი უნიკალური სამშენებლო ოსტატობით გამოკვეთილი ქვიშაქვის თლილი კვადრები, ეგრეთ წოდებული ქართული კვადრატული აგური, კედელ-ბურჯების წყობაში შეინიშნება ჩუქურთმიანი და წარწერებიანი ქვები.

XIX საუკუნეთა გამოსახულებები, გრავიურები, ჩანახატები, მრავალრიცხოვანი გეგმები, ფოტომასალები დიდად გვეხმარება გრაფიკულად წარმოვიდგინოთ გვიანი ფეოდალური ხანის თბილისის საფორტიფიკაციო სისტემა. მიუხედავად ამისა, საბუთები რესტავრაციისათვის არ არის ნამდვილი, აუთენტიკური. ამიტომ საფუძველი არა გვაქვს დავეყრდნოთ ამგვარ მასალებს და მოვიმარჯვოთ ძეგლის მთლიანად აღდგენის მეთოდი. ამ მეთოდს უარყოფს ის გარემოება, რომ კედელ-ბურჯები სხვადასხვა კონფიგურაციისანი არიან და სხვადასხვა დროშია შექმნილი. მთლიანად აღდგენის შემთხვევაში ადრე ფეოდალური პერიოდის კედელ-ბურჯი მოითხოვს შუასაუკუნეების შესაბამის საბრძოლო ელემენტებს, და ა. შ. თუ ძეგლის მთლიანად აღდგენის მეთოდს მიემართავთ, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, საბრძოლო და არარჯების დაშენება გარკვეულ სიმაღლეზე. ასეთი ხერხი უფრო ასწევს არსებული კედელ-ბურჯების პროპორციებს, განვამტკიცებთ ქვა-აგურის მორყეულ წყობას, მეორე მხრივ, შესაძლებლობა გვექნება თბილისის რთული რელიეფის, მზერის მრავალი წერტილიდან სილუეტის სათანადო კომპოზიციების დასრულებისა. დედაციხის რამდენიმე კოშკის ფრაგმენტული აღდგენით შეიქმნება კომპოზიციური წონასწორობა „უსადებზე“.

XX საუკუნის დამდეგს ნარიყალაზე გამაგრებითი სამუშაოები ჩატარებიათ. ჩანს, მიზანი ციხესიმაგრის ფიზიკური განმტკიცება იყო. იქ სადაც კედელ-ბურჯების ქვედა ნაწილები დაშლილი და დაზიანებული ყოფილან, ნაცრისფერი, უხეშად დამუშავებული ქვის წყალობით შეუვსიათ. ამ თავისთავად კეთილ საქმეს ხარვეზი ახლავს — გამაგრებულ ნაკოშკებზე. კოშკებში მოეწყო სართულშუა გადახურვები, რესტავრირებულია კედლების საპირე წყობა, ორსართულიანი კოშკი გადაიხურა კრამიტით და სხვა. მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები განჯის კარის კოშკზე, ამ ქვე გაწმენდითი სამუშაოების შედეგად მთლიანად გამოვლინდა სფერული გუმბათით გადახურული სათავსო და მის ქვეშ მდებარე აქამდე უცნობი კამერა. აქვე ლოკალიზებულია და მიკვლეულია ენები წავკისის წყალზე ჩამომავალი საიდუმლო გვირაბი.

წლეულს მთავრდება სპეციალური სატვირთო-საბაგირო გზის მონტაჟი. ამ სატრანსპორტო საშუალებაზეა დამოკიდებული როგორც არქეოლოგიური, ასევე აღდგენითი სამუშაოები. დედაციხის აღდგენა-გამაგრება მრავალ სირთულეებთან ერთად დაკავშირებულია როგორც საშენი მასალების, აგრეთვე ტრანსპორტირების და კვლევა-ძიების მხრივ. არქეოლოგიური გათხრები უდავოდ გამოაკვლევს სხვადასხვა ნაგებობის არქეოლოგიურ – არქიტექტურულ ნაშთებს, რომელთა რესტავრაცია, საფიქრებელია, კონსერვაციის მეთოდით იქნება შესრულებული.

ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ ნდობა გამოუცხადა თბილისის № 18 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ახალგაზრდა ხელოსან-რესტავრატორებს, რომლებმაც გარკვეული სკოლა გაიარეს შიომღვიმის კომპლექსის რესტავრაციის დროს. იმედია, ამჟამადაც დედაციხის ერთი მნიშვნელოვანი უბნის აღდგენით ისახელებენ თავს. რესტავრაციის ფართო ფრონტით გაშლისას, ალბათ, მრავალი თბილისელი მოქალაქე მიიღებს მონაწილეობას ამ მნიშვნელოვანი ძეგლის აღდგენაში, მას ხომ ათას ოთხასი წლის წინათაც „ნახევარსა ყოველი ერი აშენებდა“.





Ტ. ᲙᲘᲞᲐᲠᲝᲘᲫᲔ,
სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო საწარმოო გაერთიანების საპროექტო განყოფილების გამგე, არქიტექტორ-რესტავრატორი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘ: ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ, ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ

ᲫᲘᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

ᲓᲦᲔ, 15 სექტემბერს, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენოსანი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი ტრადიციულად სეზონს ხსნის ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერა „დაისით“.

ახალ სეზონთან დაკავშირებით თეატრში შემოქმედებითი აღმავლობა და ენთუზიაზმი სუფევს. საოპერო დასი გატაცებით მუშაობს ცნობილი ქართველი კომპოზიტორების ბ. კვერნაძისა და გ. ყანჩელის ახალი საოპერო ნიმუშების სცენურ ხორცშესხმაზე. ორივე ოპერის ლიბრეტოს ავტორი და დამდგმელი რეჟისორია რ. სტურუა. მაყურებელი იხილავს ჯ. პუჩინის „ჩიო-ჩიო-სანის“ ახალ დადგმას, რომელიც უეჭველად დიდ ინტერესს გამოიწვევს, მით უფრო, რომ თეატრში არიან ჩიო-ჩიო-სანის საუკეთესო შემსრულებლები — სსრ კავშირის სახალხო არტისტები მ. ამირანაშვილი და ლ. ჭყონია.

მაყურებელი დიდი მღელვარებით მოელის „აბესალომ და ეთერის“ ახალ დადგმას. კოლექტივი ყველაფერს იღონებს, რათა სპექტაკლი ამაღლებული, შთაგონებით აღსავსე გამოვიდეს.

თეატრს მზად აქვს და მალე წარმოადგენს მოცარტის „დონ ჟუანს“ იტალიური ენაზე. სპექტაკლი დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მ. თუმანიშვილმა. დირიჟორია ჯ. კახიძე, მხატვარი — ი. გეგეშიძე.

ახალ დადგმებს ამზადებს სბალეტო დასიც. ჯ. გერშვინის ოპერა „პორგი და ბესი“ მუსიკაზე თეატრის მთავარი ბალეტმაისტერი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მ. ლავროვსკი საკუთარი ლიბრეტოს მიხედვით ქმნის სბალეტო სპექტაკლს. ჩაფიქრებული აქვთ სხვა დადგმებიც.

წლევანდელ რეპერტუარში მაყურებელი კვლავ ნახავს და მოისმენს ტრადიციულ დადგმებს შარშანდელი რეპერტუარიდან. ესენია: „ლელა“, „ევგენი ონეგინი“, „სევილიელი დალაქი“, „ქეთო და კოტე“, „რიგოლეტო“, „ტრუბადური“, „რომეო და ჯულიეტა“, „ათას ერთი ღამე“, „ფოპენიანა“ და, რა თქმა უნდა, რ. შტრაუსის „სალომე“, რომლის მუსიკალურ-სცენურმა ხორცშესხმამ, მაღალმხატვრულმა დირსებებმა საერთო აღიარება მოიპოვა.

თეატრს საგასტროლოდ ეწვევიან საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის გამოჩენილი მსახიობები. ასევე თბილისს საოპერო თეატრის წამყვანი სოლისტების ხელოვნებას გაეცნობიან ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში და მის საზღვრებს გარეთ. მიმდინარე სეზონის დასასრულს გათვალისწინებულია თეატრის გასტროლები საბჭოთა კავშირის ქალაქებში. მანამდე კი, იანვარში, თეატრს მეტად პასუხსაგები გასტროლები ექნება მოსკოვში, სსრ კავშირის დიდ თეატრში. საგასტროლო რეპერტუარი შერჩევის პროცესშია. ერთი რამ კი ცხადია, შერჩევა მკაცრი იქნება. გადახალისდა თეატრის საოპერო დასი და საბალეტო დასი.

თეატრის კოლექტივი მოვალეობისადმი დიდი პასუხისმგებლობის შეგნებით შრომობს და იღვწის იმ მნიშვნელოვანი ამოცანების ღირსეული გადაწყვეტისათვის, რომლებიც მის წინაშე დასახა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ნ. ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲕᲘᲚᲘ,
რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი.

ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲙᲐᲠᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝ�პᲘ

ᲡᲣᲞᲔᲠᲗᲐᲡᲘ, ᲙᲐᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ სუპერთასზე ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელ „ჰამბურგერ შპორტფერაინს“ და თასების თასის მფლობელ „ანდერლეხტს“ (ბრიუსელი) შორის გამართება 11 ოქტომბერს ჰამბურგში და 22 ნოემბერს — ბრიუსელში. 11 დეკემბერს კი ტოკიოში მოეწყობა მატჩი საკონტინენტთაშორისო თასზე. ერთმანეთს ხვდებიან ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში („კოპა ლიბერტადორეს“) გამარჯვებული „გრემიო“ (ბრაზილია).

ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ — ᲕᲘᲝᲚᲝᲠᲘ

ᲔᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ „კიკერმა“ სპეციალისტების გამოკითხვის შედეგად გფრ-ის უძლიერეს ფეხბურთელად აღიარა ახალგაზრდა ცენტრალური თავდამსხმელი ვიოლერი (ბრემენის „ვერდერი“) მომდევნო ადგილებზე არიან მაგათი, ჰრუბეში, როლფი (სამივე — „ჰამბურგერ შპორტფერაინი“) და რუმენიგე (მიუნხენის „ბაიერნი“).

ᲖᲘᲙᲝ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲗ

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ იტალიურ ქალაქ უდინის სტადიონის დირექციამ 23.950 ადამიანტენტი გაყიდა. ეს იმით აიხსნება, რომ ახალი სეზონიდან ადგილობრივ „უდინეზეს“ კლუბში ითამაშებს ბრაზილელი ზიკო — თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. უნგრეთის ქალაქებში მიშკოლცსა და ზალაეგერსეგში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი ქალთა გუნდებს შორის. საბჭოთა კალათბურთელებმა, რომლებიც ზელაეგერსეგის ქვეჯგუფში ასპარეზობენ, რიგით მესამე შეხვედრა მოიგეს. ამჯერად მათ დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის ნაკრები — 97:55. მანამდე სსრ კავშირის სპორტსმენებმა მოუგეს შვედებს (105:74) და ბულგარელებს (108:60).

ᲞᲐᲓᲠᲐᲙᲘ. იუგოსლავიის ქალაქ ნიკშიჩში დასრულდა ვაჟთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1. გ. კასპაროვი (სსრ კავშირი) — 11 ქულა; 2. ბ. ლარსენი (დანია) — 9 ქულა; 3-4 ბ. სპასკი (სსრ კავშირი) და ლ. პორტიში (უნგრეთი) — 8-8 ქულა; 5-6. უ. ანდერსონი (შვეცია) და ე. მაილსი (ინგლისი) — 7,5-7,5 ქულა; 7-8. მ. ტალი (სსრ კავშირი) და ი. ტომანი (ჰოლანდია) — 7-7 ქულა; 9-10. ლ. ლიუბოევიჩი (იუგოსლავია) და ი. სეირავანი (აშშ) — 6,5-6,5 ქულა; 11-12. ტ. პეტროსიანი (სსრ კავშირი) და ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია) — 6-6 ქულა; 13. ჰ. ნიკოლიჩი (იუგოსლავია) — 5,5 ქულა, 14. დ. საქნი (უნგრეთი) — 5 ქულა; 15. ბ. ივანოვიჩი (იუგოსლავია) — 4,5 ქულა.

რედაქტორის მოადგილე
ბ. ᲜᲐᲮᲣᲚᲘᲐ.

Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲣᲚᲘ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ
17 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ
ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ
ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ — ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ

მონაწილეობენ:

სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში — **ნეტო, სტრელცოვი, ბუბუკინი, პონედელნიკი, საბო, ვერემეევი, კოლოტოვი, მეტრეველი, კოტრიკაძე, ხურცილავა, მაჩაიძე, პაპაევი, ძოძუაშვილი, გერშკოვიჩი, მაქსიმენკოვი, ოსიანინი.**

უნგრეთის ნაკრების შემადგენლობაში — **გროშიჩი, გეეი, ბორბელი, მატრაი, მაროში, შალომონი, პაპჩიჩი, ხორვატი, კეგლოვიჩი, ფუფი, ზამბორი, ნადი-2, ტოტი, ეგურხენტი, რაკოში, ფენეკეში, ბენე, მატე, შოიმოში.**

ორგანიზაციებს ბილეთები მიეყიდებათ 16 სექტემბერს 10 საათიდან. ბილეთების საერთო გაყიდვა 17 სექტემბერს სტადიონის სალაროებში 11 საათიდან.

დასაწყისი 16 საათზე.

ᲐᲛᲔᲪᲧᲕᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲮᲐᲕᲡᲛᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲔᲓᲚᲔᲑᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲪᲘᲮᲘᲡ ᲠᲔᲡᲢᲐᲣᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

თბილისის დედაციხე ნაწილობრივ გათხარეს და შეისწავლეს არქეოლოგებმა. ძირითადად კი იგი გასათხრელია არქეოლოგიურად. გათხრებმა გამოაკლინა XIII საუკუნის გუმბათიანი ტაძარი, აბანო, სასახლის ნაშთები და მრავალი არქეოლოგიური ნივთი, და ამით მეტი წარმოდგენა შეგვიქმნა თბილისის ამ უმნიშვნელოვანეს ძეგლზე. შემდგომი გათხრები უაღრესად საჭიროა ძეგლის როგორც სარესტავრაციო სამუშაოების შესასრულებლად, აგრეთვე მისი გმირული ისტორიის წარმოსაჩენად.

ძეგლის რესტავრაციისათვის ისტორიულ-საარქივო საბუთზე მეტად მეტყველებს თვით ძეგლი, რომელიც ამ თვისებას, უმთავრესად, გახსნის შედეგად იძენს. ეს იმის საშუალებას იძლევა, რომ რესტავრატორი გაერკვეს „ძეგლის რენტგენული სურათით“ ძეგლის არსში. ამგვარი სამუშაოები ქვედა ციხეზე ნაწილობრივ შესრულებულია. არქეოლოგთა გათხრები, უეჭველია, მეტ სრულფასოვან მასალას მოგვცემს.

ჩვენს ხელთ არსებული XVIII-XIX საუკუნეთა ტოპოგრაფიული ტიპის ნახატები, ფოტოსურათები, ჩანახატები, ფოტომასალები, ფოტოკოპიები, ფოტოკოლაჟები, ფოტოგრაფიული ალბომები, ფოტოფოტოგრაფიული ალბომები, ფოტოფოტოგრაფიული ალბომები, ფოტო